სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა
გამოდის 1957 წლიდან
№ 5–6 (343–344) მაისი–ივნისი, 2021 წელი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მორიგი აკადემიური გამარჯვება

სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) და უცხოელ სამედიცინო კურსდამთავრებულთა საგანმანათლებლო კომისიის (ECFMG) ერთობლივი გადაწყვეტილებით, 2024 წლიდან, ევროატლანტიკურ სივრცეში აღიარებული იქნება დიპლომირებული მედიკოსის მხოლოდ ის პროგრამები, რომელთაც ექნებათ საერთაშორისო აკრედიტაცია.

მნიშვნელოვანია, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან მოქმედმა აკრედიტაციის საბჭომ, სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების, სამედიცინო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლების და პროცედურების მიხედვით, 2021 წლის ივნისში, უმაღლესი შეფასებით ყველა სტანდარტში საერთაშორისო აკრედიტაცია მიანიჭა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ოთხივე საგანმანათლებლო პროგრამას: დიპლომირებული მედიკოსის ქართულ, ინგლისურ და რუსულენოვან პროგრამებს, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა ამ ამოცანასაც ღირსეულად გაართვა თავი.

ლაგ–ოლოლ ხოხულ–ძნილო ხოძულაოქოლო ფლოვულოოქულს
ძოვლოოლის ხეულოკი ფ–ოქრულ

უმაღლესი სამედიცინო განათლების ისტორია საქართველოში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1918 წელს დაარსებული სამკურნალო ფაკულტეტიდან იწყება. სწორედ ამ ფაკულტეტის პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, სამკურნალო ფაკულტეტი გამოეყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და 1930 წლის 10 ივნისს დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებლის სახით დაარსდა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს დაარსებიდან 91-ე წლისთავი მიულოცეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ბატონმა მიხეილ ჩხენკელმა.

„თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ვულოცავ დაარსებიდან 91-ე წლისთავს. სამედიცინო უნივერსიტეტი დაარსების დღიდან იყო საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლებისა და მედიცინის მეცნიერებების განვითარების მთავარი კერა და ამ ტრადიციას დღემდე აგრძელებს. პანდემიამ ნათლად გამოაჩინა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყანას ჰყავდეს მაღალპროფესიონალი სამედიცინო პერსონალი. სწორედ ასეთ კადრს ამზადებს სამედიცინო უნივერსიტეტი და ამაყობს კიდეც თავისი აღზრდილი ექიმებით.... ვულოცავ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, ყველა თანამშრომელს, კურსდამთავრებულსა და სტუდენტს უნივერსიტეტის დაარსებიდან 91-ე წლისთავს. მადლობას ვუხდი თითოეულ მათგანს თავდადებული შრომისთვის და ვუსურვებ წარმატებულ პროფესიულ საქმიანობას“, – ნათქვამია პრემიერ-მინისტრის მოლოცვაში.

„მსურს უდიდესი პატივისცემა და მადლიერება გამოვხატო მაღალპროფესიონალი სამედიცინო პერსონალის მიმართ, ისინი, ჭეშმარიტად, ჩვენი დროის გმირები არიან. აღსანიშნავია, რომ პანდემიის წინააღმდეგ მებრძოლი ექიმების უმრავლესობა სწორედ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. განსაკუთრებით დასაფასებელია, რომ კორონავირუსის ეფექტიანად მართვას არა მხოლოდ ღვაწლმოსილი პროფესორები, არამედ მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამების მაღალკურსელი სტუდენტებიც შეუერთდნენ. დარწმუნებული ვარ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მომავალშიც არაერთ სახელოვან თაობას აღზრდის, რომლებიც თავდადების ისეთივე მაგალითს აჩვენებენ, რისი მომსწრენიც პანდემიის პერიოდში ჩვენ, ყველანი, ერთად გავხდით“, – აღნიშნავს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები, აკადემიური პერსონალი და ადმინისტრაცია მადლობას უხდიან საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს და განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ბატონ მიხეილ ჩხენკელს მოლოცვის, მხარდაჭერისა და ზრუნვისთვის...

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოწოდება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – მისი პროფესურა, ექიმები, სტუდენტები, რეზიდენტები, მკვლევარები პანდემიის დაწყებისთანავე ჩაერთნენ COVID-19-ის საწინააღმდეგო ბრძოლაში. მათი თავდადებული შრომა თითოეული სიცოცხლის გადასარჩენად მართლაც რომ პროფესიული გმირობაა. თსსუ-ში აკადემიური პროცესი ახლაც, მიმდინარე სემესტრში, უმთავრესად, არა დისტანციურად, არამედ ფიზიკური დასწრებით ხორციელდება.

ჩვენს ქვეყანაში დაიწყო ბრძოლის მორიგი და მნიშვნელოვანი ეტაპი – მასობრივი ვაქცინაცია. ამ ბრძოლაში ერთიანობა და გამარჯვება გადამწყვეტია ჩვენი საზოგადოების უსაფრთხო მომავლისთვის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის და სტუდენტების 40%-ზე მეტი უკვე ვაქცინირებულია; მოვუწოდებთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თანამშრომლებს და სტუდენტებს, გამოიყენონ დიდი ძალისხმევით შექმნილი შესაძლებლობა და 2021 წლის ივლისსა და აგვისტოში მასობრივად ჩაერთონ ვაქცინაციის კამპანიაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2021/22 სასწავლო წელი 13 სექტემბერს იწყება. საუნივერსიტეტო ოჯახის თითოეული წევრი გრძნობს პასუხისმგებლობას კოლეგებისა და სტუდენტებისათვის უსაფრთხო სამუშაო და სასწავლო გარემოს შექმნის თვალსაზრისით; უნივერსიტეტის მართვის კოლეგიურ ორგანოებში იგეგმება საკითხის განხილვა მომავალი სასწავლო წლიდან სასწავლო აუდიტორიებში, კლინიკებსა თუ ლაბორატორიებში მხოლოდ ვაქცინირებულთა დაშვების შესახებ (უკუჩვენების არარსებობის შემთხვევაში). ეს არის ერთადერთი საშუალება უსაფრთხო სასწავლო და კვლევითი გარემოს შექმნისათვის, საზოგადოების განვითარებისა და წინსვლისათვის.

უსაფრთხო მომავლისკენ მიმავალი გზა დღეს მასობრივ ვაქცინაციაზე გადის!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების მოწოდება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა თვითმმართველობა და სტუდენტთა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობები საქართველოში ვიწყებთ საინფორმაციო კამპანიას – „აიცერი უსაფრთხო გარემოსთვის".

აღნიშნული კამპანიის ფარგლებში დაგეგმილია საინფორმაციო ბროშურების გავრცელება, საჯარო შეხვედრების ჩატარება. კამპანიაში ჩაერთვებიან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები, რეზიდენტები, მკვლევარები, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები კამპანიაში – „აიცერი უსაფრთხო გარემოსთვის" – მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების 40%-ზე მეტი უკვე ვაქცინირებულია; ისინი კოვიდ-პანდემიის დაწყებიდან დღემდე აქტიურად არიან ჩართულნი კოვიდ-კლინიკების, კოვიდ-სასტუმროებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ქოლცენტრების მუშაობაში.

ჩვენი, სამედიცინო სფეროს ყველაზე ახალგაზრდა წარმომადგენლების, მოქალაქეობრივი და პროფესიული ვალდებულებაა უსაფრთხო გარემოს შექმნის ხელშეწყობა და დღეს ეს გზა ვაქცინაციაზე გადის.

- ❖ აიცერი უსაფრთხო გარემოსთვის
- ❖ ჩაერთე 2021 წლის ივლისსა და აგვისტოში მასობრივი ვაქცინაციის კამპანიაში
- ❖ ვაქცინა გვიცავს

თსსუ–ის სტუდენტთა თვითმმართველობა,
ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის საქართველოს წარმომადგენლობა,
ევროპის ფარმაცევტ სტუდენტთა ასოციაციის საქართველოს წარმომადგენლობა,
ევროპის სტომატოლოგ სტუდენტთა ასოციაციის საქართველოს წარმომადგენლობა,
მსოფლიო მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის საქართველოს წარმომადგენლობა
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

ქართველი მხედართმთავრის ხსოვნის უკვდავსაყოფად

საქართველოს ეროვნული გმირის, დამოუკიდებელი საქართველოს არმიის მთავარსარდლის, გენერალი გიორგი კვინიტაძის ნეშტი სამების საკათედრო ტაძარში იყო დასვენებული. საქართველოს მოქალაქეებს საშუალება ჰქონდათ პატივი მიეგოთ ამაგდარი მებრძოლისა და მამულიშვილისთვის. გენერალი კვინიტაძის ოცნება სამშობლოში დაბრუნებულიყო, გვიან, მაგრამ ასრულდა.

24 მაისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა გვირგვინით შეამკეს გენერლის ნეშტი, პიროვნებისა, რომელმაც დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

ქართული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების სათავეებში მდგომ გენერალს, ქვეყნის პოლიტიკური ძლიერება უნდა უზრუნველეყო. იგი 1917 წლიდან ჩაერთო საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის შენების პროცესში. 1920 წელს, გენერალ გიორგი კვინიტაძის ხელმძღვანელობით, მოხერხდა აზერბაიჯანის მხრიდან შემოჭრილი საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელი არმიის ნაწილების დამარცხება, 1921 წლის 11 თებერვალს კი, როდესაც საქართველოს საზღვარი წითელი არმიის შენაერთებმა გადმოკვეთეს, ქართულმა არმიამ, მისი ხელმძღვანელობით, თბილისზე განხორციელებული რამდენიმე შტურმი მოიგერია, თუმცა, საბოლოოდ ქართულმა ჯარმა მტრის შეკავება ვეღარ მოახერხა და 25 თებერვალს ჩვენი დედაქალაქი დაეცა.

„ფიცხი და ჭკვიანი ტაქტიკოსის, ბრძოლაში სრულიად უშიში, ჯარისკაცთა ფსიქოლოგიის ჩინებული მცოდნის, დიდი ინტელექტის მქონე" გენერლის (როგორც თანამედროვენი ახასიათებდნენ) მიერ მოწინააღმდეგეთა დამარცხების უკანასკნელი მცდელობა ოსიაურთან ბრძოლაში ჩაიშალა. მთავარსარდალი ემიგრაციაში წავიდა და საფრანგეთში (ლევილში) ჰპოვა განსასვენებელი.

საქართველოს ოკუპაციიდან ერთი საუკუნის შემდეგ კი – ქვეყნის დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს, მთაწმინდის მიწამ მიიბარა სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი რაინდი.

თანამედროვე თაობამ უნდა იცოდეს თავისი სამშობლოს ისტორია, რომელშიც თავისუფლებისთვის მებრძოლი თავდადებული ხალხის როლი განუზომელია.

დარეჯან კომლაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში „თავისუფალი მოქალაქის" სკულპტურა გაიხსნა

2021 წლის 7 მაისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში „თავისუფალი მოქალაქის" სკულპტურა გაიხსნა.

ეს უკვე მეორე სკულპტურაა, რომელიც მოქანდაკე ლევან ვარდოსანიძის და იდეის ავტორის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის, ცნობილი ექიმის, პროფესორ არსენ გვენეტაძის, თანამშრომლობით განხორციელდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გარე სივრცეში. პირველი ნამუშევარი გახლდათ „ბედნიერება", რომელიც უკვე კარგადაა ცნობილი თბილისელებისა და დედაქალაქის სტუმრებისთვის. მეორე ქანდაკება „თავისუფალი მოქალაქეა" , რომელიც დიდი მოწონებით სარგებლობს საქართველოს ფარგლებს გარეთაც, ისრაელში. აღსანიშნავია, რომ ამ ქანდაკების ნიმუში უკვე დგას ბენ-გურიონის უნივერსიტეტში (ისრაელი); საქართველოში – ბათუმში, თბილისის საერთაშორისო აეროპორტსა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

სკულპტურა – „თავისუფალი მოქალაქე" მსოფლიოში გავრცელებისა და პოპულარიზაციის საერთაშორისო ჯგუფმა აჩუქა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს. ამ ჯგუფის მიზანია, „თავისუფალი მოქალაქე" მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში, სხვადასხვა უნივერსიტეტში დაიდგას, როგორც ნიშანი პიროვნული და მოქალაქეობრივი თავისუფლების უდიდესი მნიშვნელობის აღიარებისა.

ძეგლის გახსნასთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვივნენ: მოქანდაკე ლევან ვარდოსანიძე, პროფესორი არსენ გვენეტაძე, საერთაშორისო კონსული ჯოზეფ ბოკუზი (ნიუ-იორკი, აშშ); პროფესორი აშერ ბაშირი (ბენ-გურიონის უნივერსიტეტი, ისრაელი); პროფესორი ნადი ჰაკიმი (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი); შპს „თორის" წარმომადგენლები, რომელთა უშუალო მონაწილეობით ჩამოისხა უჟანგავი ფოლადისგან 2,60 მეტრი სიმაღლის „თავისუფალი მოქალაქის" ქანდაკება.

ღონისძიება გახსნა თსსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა გიორგი ჭიჭინაძემ. სტუმრებს მიმართა ქანდაკების იდეის ავტორმა, პროფესორმა არსენ გვენეტაძემ. მან გაიხსენა თავის ალმა-მატერში გატარებული წლები და უდიდესი პატივისცემით და სიამაყით განაცხადა, რომ მისთვის შეუდარებელი სიხარულია, რომ „თავისუფალი მოქალაქე" თსსუ-ის ეზოში დაიდგა, სწორედ თავისუფალი პიროვნება, რომელსაც გულში დედამიწა „უფეთქავს" არის ის, ვინც მომავლის ადამიანია. სად, თუ არა უნივერსიტეტის სივრცეში, უნდა იყოს დავანებული მისი სიმბოლო. პროფესორმა არსენ გვენეტაძემ შეიხი დოქტორი ჯასიმის (დუბაი, არაბთა გაერთიანებული საემიროები) მილოცვა გადასცა გახსნაზე მობრძანებულ საზოგადოებას. ბატონი ჯასიმი, გარკვეული მიზეზების გამო, ვერ ჩამოვიდა საქართველოში ამ ღონისძიებაზე დასასწრებად. ბატონმა არსენმა დიდი მადლიერებით აღნიშნა თსსუ-ის რექტორის, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას და კანცლერის, პროფესორ ზურაბ ორჯონიკიძის, ღვაწლი „თავისუფალი მოქალაქის" საუნივერსიტეტო სივრცეში განთავსებასთან დაკავშირებით.

სტუმრებს მიმართა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ. მან ისაუბრა ქანდაკების, „თავისუფალი მოქალაქის", შესახებ. აღნიშნა, რომ თავისუფლების იდეა, ცხადია, ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებულია. „ეს ქანდაკება შევა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორიაში და გახდება მისი განუყოფელი ნაწილი. უდიდესი მადლობა ამ იდეის ავტორსა და განმახორციელებელს. ვფიქრობ, ეს ქანდაკება სათანადო მნიშვნელობას შეიძენს თითოეული უნივერსიტეტელისთვის".

გახსნაზე მოწვეულ სტუმრებს მიმართა მოქანდაკე ლევან ვარდოსანიძემ. როგორც მან აღნიშნა, თსსუ-ში დადგმული „თავისუფალი მოქალაქე" მისთვის მნიშვნელოვანი განაცხადია: „მხატვარი ვარ და თავისუფლება ჩემთვის უცხო არ არის. მინდოდა შემექმნა ქანდაკება, რომელიც აღსაქმელად ადვილი და მინიმალისტური იქნებოდა. მიმართულებებია მოცემული და დედამიწის გულში ჩახუტებაც არის, რადგან თუ არ გავუფრთხილდით დედამიწას, თავისუფლები ვეღარ ვიქნებით".

პროფესორმა აშერ ბაშირმა სიტყვით მიმართა შეკრებილ საზოგადოებას და აღნიშნა, რომ „თავისუფალი პიროვნების" ქანდაკება უკვე დგას მის უნივერსიტეტში და მიაჩნია, რომ სწორედ ეს არის თავისუფალი აზრის, პიროვნების სიმბოლო: არ ჩანს არც გენდერი, არც სხვა განმასხვავებელი ნიშანი. მთავარია მხოლოდ ერთი: გიყვარდეს დედამიწა, მოუფრთხილდე მას და იყო თავისუფალი!

ახლად დადგმული ქანდაკება შეაფასა ქართული ქანდაკების მკვლევარმა, ქანდაკებების შესახებ გამოცემული სამი წიგნის ავტორმა, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, ბადრი ქუთათელაძემ: თსსუ-ში დგას მოქანდაკე კოტე მერაბიშვილის ქანდაკება „ივანე თარხნიშვილი", ასევე, არაჩვეულებრივი მემორიალი აფხაზეთის ომში დაღუპული სტუდენტებისა. რამდენიმე წლის წინ დაიდგა „ბედნიერების" სკულპტურა და დღეს „თავისუფალი მოქალაქის" გახსნაზე ვართ. მინდა აღვნიშნო, რომ ლევან ვარდოსანიძის ნამუშევრები სრულიად განსხვავებული გახლავთ და არაჩვეულებრივად გაითავისა თსსუ-ის სივრცემ. ეს თანამედროვე ქანდაკების კარგი ნიმუშებია და ჰარმონიულად ჯდება ამ უნივერსიტეტის გარემოში.

ახალი ქანდაკების გახსნა მიულოცა შეკრებილ საზოგადოებას ცნობილმა სპორტულმა კომენტატორმა ჯამლეტ ხუხაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ლევან ვარდოსანიძე სამგზის გამარჯვებულია იმ მოქანდაკეთა კონკურსში, რომელიც ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ოლიმპიადის გახსნამდე იმართება მსოფლიოს ოლიმპიურ დედაქალაქებში. ამ ნიჭიერი სკულპტორის ყველა ახალი ნამუშევარი გარკვეული მოვლენაა სახელოვნებო სივრცეში. მისასალმებელია, რომ „თავისუფალი მოქალაქე" უკვე თსსუ-ის ეზოსაც ამშვენებს.

მოქანდაკე ლევან ვარდოსანიძემ საპატიო საჩუქრები - „თავისუფალი მოქალაქის" სკულპტურის მცირე ასლები გადასცა: თსსუ-ის რექტორს, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას, კანცლერს, პროფესორ ზურაბ ორჯონიკიძეს, საერთაშორისო კონსულს ჯოზეფ ბოკუზს; პროფესორ აშერ ბაშირს და პატარა გოგონას, რომელიც ძეგლის გახსნას ესწრებოდა და მომავალი თაობის სიმბოლოდ მოიაზრებოდა.

შეხვედრის დასასრულს, პროფესორმა არსენ გვენეტაძემ ახალი ინიციატივით მიმართა საზოგადოებას: ვაღიაროთ სექტემბრის პირველი კვირადღე „თავისუფალი პიროვნების დღედ", მივცეთ საშუალება ყველას, რომ ისე აღინიშნოს ეს დღე, როგორც თავისუფალ სულს სწადია. თავისუფლების იდეის ირგვლივ გაერთიანებულმა საზოგადოებამ ხელი მოაწერა საგანგებოდ ამ დღისთვის მომზადებულ სამახსოვრო პეტიციას.

ლელა მუკგანიანი

გილოცავთ!

ძვირფასო კურსდამთავრებულებო! დღეს უმნიშვნელოვანესი დღეა თქვენს ცხოვრებაში – დასრულდა სტუდენტობა და აი, უკვე თქვენი პროფესიის საპასუხისმგებლო გზაზე გასასვლელად და ახალი მწვერვალების დასაპყრობად ემზადებით. ის ურთულესი დრო, რომელიც თქვენს სტუდენტობას დაემთხვა, ბევრი კარგი მაგალითის მომცემი გახდა: თავადაც გამოცადეთ, რას ნიშნავს იდგე ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში, მით უმეტეს, მაშინ, როცა მსოფლიო უდიდესი პრობლემის – პანდემიის წინაშე დგას. ეს წლები, დარწმუნებული ვარ, ერთგვარ გამოცდილებად დარჩება თქვენს ცნობიერებაში და მომავალში კიდევ უფრო მეტი მობილიზებით გააგრძელებთ სწავლასა და მუშაობას.

უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა გადაგიხადოთ! თქვენ სტუდენტობაშივე ღირსეულად წარადგინეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი საზოგადოების წინაშე. თქვენი მშობლიური უნივერსიტეტი თვალს გადევნებდათ, როგორ მუშაობდით COVID-19-ის დასამარცხებლად – სწავლობდით და შრომობდით პანდემიის პირობებში. თქვენ იყავით სამაგალითონი ჰოსპიტლებში, კოვიდ-სასტუმროებში, საკარანტინო ზონებში, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრში (112). თქვენ დაუღალავად შრომობდით თქვენი მენტორების, გამოცდილი ექიმების გვერდით და, პარალელურად, კლინიკურ სწავლებას ახერხებდით. თქვენი მონაწილეობით არაერთი საქველმოქმედო ღონისძიება ჩატარდა. ჩვენ ეს ყველაფერი ვიცით და გვეამაყებით!

ქვეყნის სამსახური ჩვენი უნივერსიტეტის დიდი ოჯახის ყველა წევრს ერთ ღირსეულ, მიზანდასახულ გუნდად აქცევს. ამ გუნდის წევრობა თქვენი პატივიცაა და პასუხისმგებლობაც!

დამეთანხმებით, რომ თქვენი Alma Mater ყველაფერს აკეთებდა თქვენთვის! ჩვენ არაერთი მიღწევა გვქონდა, შევძელით ის, რომ ამიერკავკასიაში ლიდერი სამედიცინო საგანმანათლებლო ცენტრის საპატიო პოზიცია არ დაგვეთმო!

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აკადემიური გამარჯვების შესახებ მინდა გაცნობოთ: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან მოქმედმა აკრედიტაციის საბჭომ, სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების, სამედიცინო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლების და პროცედურების მიხედვით, 2021 წლის ივნისში, უმაღლესი შეფასებით ყველა სტანდარტში საერთაშორისო აკრედიტაცია მიანიჭა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ოთხივე საგანმანათლებლო პროგრამას: დიპლომირებული მედიკოსის ქართულ, ინგლისურ და რუსულენოვან პროგრამებს, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამას. აღსანიშნავია, რომ სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) და უცხოელ სამედიცინო კურსდამთავრებულთა საგანმანათლებლო კომისიის (ECFMG) ერთობლივი გადაწყვეტილებით, 2024 წლიდან, ევროატლანტიკურ სივრცეში აღიარებული იქნება დიპლომირებული მედიკოსის მხოლოდ ის პროგრამები, რომელთაც ექნებათ საერთაშორისო აკრედიტაცია.

ამრიგად, დღეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მედიცინის, სტომატოლოგიის, ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტებზე ხორციელდება მხოლოდ უმაღლესი შეფასების მქონე, აკრედიტებული ერთსაფეხურიანი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები.

2019 წლის მაისიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ფუნქციობს სამედიცინო განათლების ევროპული ასოციაციის – AMEE-ის წარმომადგენლობა საქართველოში, AMEE-ის საერთაშორისო თანამშრომლობის მსოფლიოში მესამე ცენტრი, რაც არა მხოლოდ თსსუ-ის, არამედ ქვეყნის წარმატებაა: საქართველო სამედიცინო განათლების საერთაშორისო ცენტრი გახდა, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის გზაზე.

ეს ყველაფერი თქვენ თვალწინ მოხდა. დაწვრილებით აღარ შეგახსენებთ ყველა წარმატებას, რასაც თქვენი მშობლიური უნივერსიტეტი აღწევდა. ეს თქვენ იცით! მინდა ერთი რამ გითხრათ: ეს ძლიერი საგანმანათლებლო კერა – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი თქვენ მხარდაჭერას არასდროს შეწყვეტს. თქვენ ხართ ყველა იმ წარმატების ხორცშესხმული მაგალითი, რომელსაც ერთად ვაღწევდით. თქვენი მომავალი ცხოვრებით მარტო თქვენს საკუთარ ღირსებას კი არა, თქვენი უნივერსიტეტის ღირსებასაც უნდა იცავდეთ!

დღევანდელი დღე თქვენი შრომის, გარჯის, ძალისხმევის შედეგია. თქვენ ხართ ასწლოვანი ისტორიის, დიდი ტრადიციის მქონე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, სადაც ცოდნას ეუფლება მსოფლიოს 72 ქვეყნის და საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების საუკეთესო ნაწილი, რაც თქვენი მაჩვენებლებით დაამტკიცეთ მაშინ, როცა ჩააბარეთ ამ უნივერსიტეტში და ახლაც, როცა ამთავრებთ მას!

დარწმუნებული ვარ, მზად ხართ იმ პასუხისმგებლობისთვის, რაც ექიმის საქმიანობას მუდმივად ახლავს. ბევრი თქვენგანი სწავლას გააგრძელებს რეზიდენტურასა და დოქტორანტურაში; ზოგი მოისურვებს მაგისტრატურაში სწავლას ამა თუ იმ სპეციალობით ან დაგვიბრუნდება თსსუ-ის თეორიულ დეპარტამენტებში... დღეს გზაგასაყართან დგახართ და არჩევანი უნდა გააკეთოთ, რა მიმართულებით ივლით პროფესიული სრულყოფის გზაზე.

მინდა გითხრათ, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი თავისი კურსდამთავრებულების მხრებზე დგას, რომლებმაც ბევრი გააკეთეს და დღესაც არ იშურებენ ძალისხმევას მისი განვითარებისა და მომავალი თაობის პროფესიული დახელოვნებისთვის; დარწმუნებული ვარ, ბევრი თქვენგანი დაბრუნდება აქ პროფესორად, ასოცირებულ პროფესორად, ასისტენტ-პროფესორად და გააგრძელებს იმ საქმეს, რასაც თქვენმა წინამორბედმა თაობებმა ჩაუყარეს საფუძველი. მინდა გისურვოთ იყოთ ისეთივე წარმატებულები, როგორიც ამ უნივერსიტეტის საამაყო და სახელოვანი კურსდამთავრებულები, რომ ამ უნივერსიტეტისთვის გააკეთოთ ის, რაც მათ შეძლეს...

დარწმუნებული ვარ, მცდელობას არ დააკლებთ, რომ თქვენმა Alma Mater-მა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, მუდამ იამაყოს თქვენი გამარჯვებებით!..

წინ საინტერესო და საპასუხისმგებლო პროფესიული გზა გელით! წარმატებით იარეთ ამ გზაზე, კოლეგებო!

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის რექტორი

კურსდამთავრებულთა ლოცვა

„თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ჩემი უნივერსიტეტია, ის ჩემს უნივერსიტეტად დარჩება ყოველთვის!..“
„მადლობა აქ გატარებული წლებისთვის, პროფესიონალი ზმთან ზიარებისთვის,
მადლობა, რომ ვისწავლეთ რა არის თავდადებული შრომა,
და რომ იმედიანად გადავდგით პირველი ნაბიჯები პროფესიულ ასპარეზზე“...
„იწყება ახალი გზა და ჩვენი Alma Mater ამ გზაზეც ჩვენი თანამგზავრი იქნება!.. “
„თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტზე სწორება ჩვენთვის დიდი პატივია!..“

2021 წლის კურსდამთავრებულები

















თანამედროვე ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი სპეციალისტების ჩამოსაყალიბებლად

ტრადიციულად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ინიციატივით, მრავალი ღონისძიება, პრაქტიკული სამუშაო, საჯარო ლექცია ტარდება და პროექტი ხორციელდება, კერძოდ, ითარგმნა და გამოიცა არაერთი სამეცნიერო ლიტერატურა და სახელმძღვანელო, მათ შორის - „ტომპსონი & ტომპსონი – გენეტიკა მედიცინაში“ (მე-7 და მე-8 გამოცემები, 2008, 2016), ნესა ქერი – „ეპიგენეტიკური რევოლუცია“ (2015); ჩატარდა აკრედიტებული კონფერენციები - „გენომიკა და ეპიგენომიკა პერსონალიზებულ/ზუსტ მედიცინაში“ (2016, 2017, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით); პირველი და მეორე საერთაშორისო კონფერენცია - „ადამიანის გენომი და ჯანმრთელობა“ (2018, 2019).

2010 წლიდან დღემდე დეპარტამენტში ხორციელდება უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამები; 2014 წელს, დეპარტამენტის ინიციატივით, დაარსდა სამედიცინო გენეტიკის და ეპიგენეტიკის საქართველოს საზოგადოება, 2014 წელს დეპარტამენტში მოლეკულური გენეტიკის ლაბორატორია შეიქმნა, სადაც ხორციელდება სამეცნიერო კვლევები დოქტორანტების და სტუდენტების მონაწილეობით; 2015 წლიდან დღემდე ტარდება დნმ-ის საერთაშორისო დღისადმი (25 აპრილი) მიძღვნილი ესეების კონკურსი სტუდენტებისთვის; 2018 წლიდან, დეპარტამენტის, გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკისა და კომპანია – Centogene AG-ის მხარდაჭერით, ხორციელდება პირველი საერთაშორისო მულტიცენტრული ეპიდემიოლოგიური კლინიკური კვლევა - „იშვიათი დაავადებების ბიომარკერები“;

2019 წლიდან თსსუ მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტში შემუშავდა და ხორციელდება ახალი, არჩევითი საგანი - „ლაბორატორიული გენეტიკის და გენომიკის პრინციპები“.

პანდემიის მიუხედავად, დეპარტამენტი 2019-2021 წლებში აგრძელებდა და აგრძელებს აქტივობების განხორციელებას და რამდენიმე სიახლესაც ჩაეყარა საფუძველი, მათ შორის, თსსუ-ის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის და სამედიცინო გენეტიკის და ეპიგენეტიკის საქართველოს საზოგადოების ინიციატივით, ჩვენი ქვეყანა შეუერთდა საქველმოქმედო ორგანიზაცია – ,,Unique”-ის მიერ წამოწყებულ საერთაშორისო პროექტს.

პროექტის მიზანია, შეიქმნას საინფორმაციო გზამკვლევები სხვადასხვა ქრომოსომული და გენური დაავადების შესახებ. ორგანიზაცია – ,,Unique“-ის ვებ-გვერდზე საინფორმაციო მასალა ხელმისაწვდომია ინგლისურ და სხვა რამდენიმე ენაზე, რომელთა ნუსხას ქართულიც შეემატა. პროექტის ხელმძღვანელები არიან თსსუ-ის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის პროფესორი თინათინ ტყემალაძე და ემერიტუსი ელენე აბზიანიძე, ხოლო კოორდინატორი – ასოცირებული პროფესორი ქეთევან კანკავა.

გზამკვლევების თარგმნაში აქტიურად არის ჩართული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 80-ზე მეტი სტუდენტი, რედაქტირებას კი თსსუ-ის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის თანამშრომლები ახორციელებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ენაზე იშვიათი დაავადებების შესახებ ცნობადობის ასამაღლებელი მსგავსი ფორმატის და მასშტაბის მქონე პროექტი ჯერ არ განხორციელებულა, ორმაგად სასიხარულოა, რომ ამ დიდ საქმეში წვლილი შეაქვთ მომავალი ექიმების ახალ თაობას – ჩვენს სტუდენტებს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტმა, მიმდინარე სემესტრში, დიპლომამდელი სამედიცინო განათლების სტუდენტებისთვის ,,Journal Club“-ის პროექტის განხორციელება დაიწყო.

აქტივობის ფარგლებში ხდება სტუდენტებისა და ლექტორების რეგულარული შეხვედრა და მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის, გენომიკისა და ტრანსლაციური მედიცინის (From Bench to Bedside and Beyond) კუთხით, მოწინავე სამეცნიერო თუ კლინიკურ ჟურნალებში გამოქვეყნებული უახლესი სტატიების გაცნობა და დისკუსია. „Journal Club”-ი სტუდენტებს საშუალებას აძლევს, განავითარონ სტატიის კითხვის, გააზრების და მისი კრიტიკული შეფასების უნარ-ჩვევები. სტუდენტები მთელი სემესტრის განმავლობაში წარადგენენ სტატიებს, რის შემდეგაც იწყება ცოცხალი დისკუსია. მომხსენებლები, ლექტორები და სტუდენტები თემის ირგვლივ სვამენ შეკითხვებს, აფასებენ მოპოვებულ ინფორმაციას, გამოთქვამენ კრიტიკულ მოსაზრებებს, შენიშვნებს და ა.შ.

პროექტის დაწყებიდან დღემდე მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებმა წარადგინეს სტატიები უახლესი მონაცემებით, ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორიცაა: ბიომარკერები, CRISPR/CAS9 გენომის რედაქტირების სისტემა და მისი კლინიკური გამოყენება, სიმსივნის მოცირკულირე დნმ-ის როლი მკურნალობაზე პასუხში, COVID-19-ის სიმძიმის განმსაზღვრელი გენეტიკური ვარიანტები და ა.შ.

პროექტს კოორდინირებას უწევენ მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის პროფესორი თინათინ ტყემალაძე და მოწვეული პედაგოგი კახა ბრეგვაძე.

გარდა ამისა, წელს, უკვე მეშვიდედ ჩატარდა დნმ-ის დღე – ესეების კონკურსი – ,,საქართველო – 2021“. კონკურში მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებმა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან, მათ შორის, – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტიდან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

„ესეების კონკურსი-2021“-ზე წარდგენილი იყო 42 ნაშრომი, რომლებიც საქართველოში და უცხოეთში მოღვაწე ქართველმა ექსპერტებმა შეაფასეს და გამოავლინეს სამი გამარჯვებული.

მიმდინარე წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის მოლეკულური გენეტიკის ლაბორატორიაში, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტებისთვის, უკვე მეორედ ჩატარდა არჩევითი სასწავლო კურსი - „ლაბორატორიული გენეტიკის და გენომიკის პრინციპები”, რომელიც პროექტზე დაფუძნებული სწავლების პრინციპით განხორციელდა. მეცადინეობები არადისტანციურ რეჟიმში, შესაბამისი ეპიდემიოლოგიური რეგულაციების დაცვით, მიმდინარეობდა. პროგრამის ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი ეკა კვარაცხელია.

გარდა ამისა, 2021 წელს ადამიანის გენეტიკის ევროპის კონფერენციაზე (ESHG 2021) დეპარტამენტის თანამშრომლები უკვე მერვედ მიიღებენ მონაწილეობას, სადაც წარადგენენ პოსტერულ და ზეპირ მოხსენებებს. აღსანიშნავია, რომ კონფერენციაში ყოველწლიურად იღებენ მონაწილეობას თსსუ-ის დოქტორანტები და სტუდენტები, სადაც წარადგენენ დეპარტამენტის ლაბორატორიაში მიღებულ სამეცნიერო შედეგებს. წელს დეპარტამენტმა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსში წარადგინა ორი სამეცნიერო პროექტი (ასოცირებული პროფესორები – ე. კვარაცხელია, ქ. კანკავა).

თსსუ-ის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტს საინტერესო სამომავლო გეგმები აქვს – 2021 წელს აკრედიტაციის საბჭოზე წარვადგინეთ ახალი სასწავლო ტრენინგ- პროგრამა – „მოლეკულური გენეტიკური ტესტირება კლინიკურ პრაქტიკაში“ და არჩევითი სასწავლო კურსი - „კლინიკური გენეტიკა“; იგეგმება სტუდენტური სამეცნიერო პროექტის განხორციელება, რომელიც საკვერცხის სიმსივნის ეპიგენეტიკური პროფილის შესწავლას მიეძღვნება.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობს მედიკოსი სტუდენტების დამოუკიდებელ, ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილ, კვალიფიციურ ექიმებად თუ მეცნიერებად ჩამოყალიბების ხანგრძლივ და საინტერესო პროცესს.

ეკა კვარაცხელია,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

ტრენინგების ციკლი – სწავლების, სწავლისა და შეფასების თანამედროვე მიდგომები დიპლომამდელ სამედიცინო განათლებაში

31 მაისიდან 5 ივნისის ჩათვლით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, დეპარტამენტის ხელმძღვანელებისთვის, ჩატარდა ექვსდღიანი ტრენინგი: „სწავლების, სწავლისა და შეფასების თანამედროვე მიდგომები დიპლომამდელ სამედიცინო განათლებაში“.

შეხვედრებზე დამსწრე საზოგადოება გაეცნო საკითხებს:

- ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსი: შემუშავებისა და განხორციელების მეთოდები (პროფესორი ირინე კვაჭაძე);
- პრობლემასა და კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება PBL და CBCR (პროფესორი ხათუნა თოდაძე);
- კვლევითი აქტივობის განვითარების თანამედროვე შესაძლებლობები და ფორმები (ასოცირებული პროფესორი სოფიო ბახტაძე);
- სწავლებისა და სწავლის თანამედროვე მეთოდები (პროფესორი რიმა ბერიაშვილი);
- შეფასების თანამედროვე მეთოდები: OSCE და მისი მოდიფიკაციები (პროფესორი მარინა მამალაძე);
- სანდო პროფესიული აქტივობა და შეფასება სამუშაო ადგილზე – EPA - Entrusted Professional Activities, WPBA – Workplace Based Assessment (პროფესორი გაიანე სიმონია).

ტრენინგი ჩატარდა არადისტანციურ რეჟიმში, ეპიდემიოლოგიური რეგულაციების სრული დაცვით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორთა ტრენინგი სამ ეტაპად განხორციელდა. ტრენინგის მეორე ციკლი 7 ივნისიდან 12 ივნისის ჩათვლით ჩატარდა, ხოლო მესამე – 14 ივნისიდან 19 ივნისის ჩათვლით.

ვეკ-ოქსუნ

პროფესორი ვაჟა გვანცელაძე

ბატონი ვაჟა 1932 წლის 6 აპრილს ქალაქ თბილისში დაიბადა, 1956 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი) სამკურნალო ფაკულტეტი.

სხვადასხვა წლებში ის იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (უნივერსიტეტის) პედიატრიული, სან-ჰიგიენური და სტომატოლოგიური ფაკულტეტების საფაკულტეტო თერაპიის კათედრის ასისტენტი, დოცენტი; შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკის და თერაპიის კათედრის პროფესორი; შინაგანი მედიცინის N5 კათედრის პროფესორი.

ვაჟა გვანცელაძე იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედაგოგიური საბჭოს, პედიატრიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს, ასევე, გასტროენტეროლოგიური საზოგადოების გამგეობის საბჭოს და ცენტრალური მეთოდკომისიის წევრი. ამჟამად, იგი თსსუ-ის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრია.

ვაჟა გვანცელაძე არის 68 სამეცნიერო ნაშრომის, სახელმძღვანელოსა და წიგნის ავტორი.

ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად, ბატონი ვაჟა არის სპორტის ოსტატი კალათბურთში, მრავალი სპორტული შეჯიბრების ჩემპიონი და პრიზიორი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ულოცავს ამაგდარ პროფესორ ვაჟა გვანცელაძეს საიუბილეო თარიღს, ჯანმრთელობას, სულის სიმრთელეს და წელთა სიმრავლეს უსურვებს მას!

წლების შემდეგ ისევ Alma Mater -ში...

ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები წარმატებით მოღვაწეობენ არა მარტო საქართველოში, არამედ ქვეყნის საზღვრებს გარეთაც. ბევრი მათგანი სამშობლოს ხშირად სტუმრობს და არც საყვარელ Alma Mater-ს - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ივიწყებს. მაისის ბოლოს ჩვენს უნივერსიტეტს ესტუმრა აშშ-ის ჯანმრთელობის მართვის ორგანიზაცია „კაიზერ-პერმანენტეს“ სან-ფრანცისკოს ქრონიკული ტკივილის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, აშშ-ის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის აკადემიის ნამდვილი წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი მიქელაძე, რომელმაც ლექციები წაიკითხა თსსუ-ის სტუდენტების, რეზიდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის ქართულ და ინგლისურ ენებზე. ბატონი გიორგი მიქელაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, კარგა ხანი საქართველოში ეწეოდა სამედიცინო საქმიანობას. გასული საუკუნის 90-იან წლებში გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში და გრძელი და დატვირთული გზა განვლო პროფესიულ საქმიანობაში წარმატებამდე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ბატონი გიორგი მიქელაძე, დღეს წარმატებით საქმიანობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამასთანავე, ინარჩუნებს უწყვეტ კავშირს სამშობლოსთან და მშობლიურ უნივერსიტეტთან. თსსუ-ის 2021 წლის 25 ივნისის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, გიორგი მიქელაძე თსსუ-ში მოწვეული პროფესორის სტატუსით იმუშავებს.

ჩვენ შევხვდით და გავესაუბრეთ ბატონ გიორგის, რომელმაც სიამოვნებით და საინტერესოდ გაიხსენა სტუდენტობის წლები, სახელოვანი წინაპრები, საქართველოში მუშაობის პერიოდი, ამერიკაში წარმატებულ სამედიცინო კარიერამდე დაძლეული სირთულეები, სასარგებლო რჩევები მისცა მომავალ ექიმებს და წარმატებები უსურვა საყვარელ უნივერსიტეტს... დიდი მწერლის პერიფრაზით რომ ვთქვათ, ყველაფერი ადრეული ასაკიდან იწყება და ჩვენი საუბარიც სწორედ ბავშვობის გახსენებთ დაიწყო:

– თბილისში ცნობილი, 24-ე, საჯარო სკოლა დავამთავრე, რომელთანაც სასიამოვნო მოგონებები მაკავშირებს და ბევრის გახსენებაც შეიძლება, თუმცა საინტერესოდ მახსენდება დრო, როცა ცნობილი ნოვატორი პედაგოგის, შალვა ამონაშვილის ექსპერიმენტულ კლასში მოვხვდი. ექსპერიმენტის საბოლოო შედეგებზე ვრცლად ვერაფერს მოგახსენებთ, თუმცა ჩემი კლასის მაგალითზე შემიძლია ვთქვა, რომ ბევრი სხვადასხვა დარგის აღიარებულ სპეციალისტად ჩამოყალიბდა და მნიშვნელოვანი სიტყვა თქვა თავის პროფესიასა და ქვეყნის აღმშენებლობაში. ჩემი თანაკლასელის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას, წარმატებული საქმიანობაც გამოდგება ზემოთქმულის დასტურად. საერთოდ, საინტერესო და ბედნიერი პერიოდი იყო ჩემთვის...

– ექიმობაც მაშინ გადაწყვიტეთ, თუ, მეტწილად, ოჯახურმა ტრადიციამ განსაზღვრა თქვენი პროფესიული არჩევანი?

– ალბათ ეს ფაქტორიც მნიშვნელოვანი იყო – დედა ექიმი გახლდათ, ბებიას ძმა, მიხეილ ცხაკაია, საინტერესო ბიოგრაფიის ადამიანი – 1932 წელს რესპუბლიკურ ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში მისი ხელმძღვანელობით გაიხსნა საქართველოში პირველი ტრავმატოლოგიის და ორთოპედიის კათედრა, რომლის ბაზაზე 1946 წელს დაარსდა ორთოპედიისა და აღდგენითი ქირურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის დირექტორი იყო 1950 წლამდე. მედიცინისადმი ინტერესიც უცხო არ იყო ჩემთვის, თუმცა, საერთოდ, მიმაჩნია, რომ 17 წლის ასაკში ძნელია ამ გადაწყვეტილების მიღება. ჩემი ზოგიერთი მეგობარი არაჩვეულებრივი ექიმი იქნებოდა, ამ გზით რომ წასულიყო, ან პირიქით – არიან ექიმები, რომლებიც სხვა პროფესიაში უკეთ წარმოიჩენდნენ თავს... მოკლედ, ადვილი არ არის... ჩემს შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ გამიმართლა.

– თქვენი პროფესიული გზა ამას ადასტურებს... თუმცა, მაინც გკითხავთ: როგორ ფიქრობთ, რატომ ღირს ექიმობა?

– მთავარი, ალბათ, სიყვარულია... თუკი გიყვარს პროფესია, რომელსაც ემსახურები, ყველაფერი გაცილებით მარტივია. დამეთანხმებით, ერთი მხრივ, დიდი პასუხისმგებლობაა, როცა ადამიანები სიცოცხლესა და ჯანმრთელობას განდობენ, მეორე მხრივ, სასიამოვნო განცდაა, ალბათ, ბედნიერებაც, როცა მათ ეხმარები და შედეგიც ამართლებს...

– თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ბრძანდებით... როგორ გაიხსენებთ სტუდენტობის და ამერიკაში გამგზავრებამდე საქართველოში საქმიანობის პერიოდს?

– სიამოვნებით გავიხსენებ... საბჭოთა ეპოქის სტუდენტი გახლდით, თუმცა, როცა ვუფიქრდები, საბჭოთა კავშირის მაშინდელ ქვეყნებთან შედარებით, სწავლების საკმაოდ მაღალი დონე იყო. ცალსახად შემიძლია ვთქვა, რომ სურვილის შემთხვევაში, ცოდნის მიღების და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისების შესაძლებლობა ნამდვილად გვქონდა. მე ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოში სანიტრობიდან დავიწყე და ექთნის პოზიციაზე გადავინაცვლე, მე-6 კურსზე კი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექთნად ვმუშაობდი; 10 წელი ტრავმატოლოგიის და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში ჯერ ორთოპედიის განხრით ვიმუშავე, მერე შევიცვალე პროფილი და რეაბილიტაციის განყოფილების გამგე გახლდით. 1993 წელს უკვე ამერიკაში გავემგზავრე...

– ალბათ რთული იყო დამკვიდრების პერიოდი...

– ამერიკაში ყველაფრის თავიდან დაწყება მომიხდა – სამედიცინო საქმიანობის გასაგრძელებლად და ამერიკული ლიცენზიის ასაღებად საჭირო იყო სპეციალური გამოცდების ჩაბარება, რაც, გეტყვით, რომ რთული არ აღმოჩნდა. რეზიდენტურის მერე გავიარე სპეციალიზაცია ტკივილის მედიცინაში, რომელიც შედარებით ახალი დარგი გახლავთ და ამის შემდეგ მომეცა შესაძლებლობა ტკივილის მედიცინის მიმართულებით მემუშავა. ამჟამად „კაიზერ-პერმანენტეს“ სან-ფრანცისკოს ქრონიკული ტკივილის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ვარ. ამ ორგანიზაციას სამედიცინო მომსახურების დიდი ქსელი აქვს არაერთი ფილიალით სხვადასხვა შტატში – მაღალი ხარისხის მომსახურებით, პრევენციულ ზრუნვაზე აქცენტით და დაზღვევის სისტემის მოქნილობით. სან-ფრანცისკოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი აქ არის დაზღვეული. ჩვენი მუშაობის ხარისხს განსაზღვრავს ბენეფიციარის (პაციენტის) შეფასება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტიც, დასაქმებულისთვის. გაგიკვირდებათ და, საუკუნეზე მეტი ხნის წინ, დაზღვევის ასეთი მოდელი, რომლის მიხედვითაც მოსარგებლე წელიწადში იხდიდა გარკვეულ (მიზერულ) თანხას, სოფელ დიდ ჯიხაიშში 1903 წელს დანერგა ცნობილმა ექიმმა და საზოგადო მოღვაწემ, ივანე გომართელმა, თუმცა მაშინ ამან არ გაამართლა, რადგან თანაგადასახადი არ იყო გათვალისწინებული.

– თქვენ მიერ განვლილი გზის გათვალისწინებით, უეჭველია, ყველა ქვეყანაში წარმატებული იქნებოდით, თუმცა ბედმა ამერიკაში საქმიანობა გარგუნათ. არის თავისუფლების სიმბოლოდ წოდებული ამერიკა ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული, როგორც ამბობენ: ოცნებების ახდენის ქვეყანა?

– დიახ, ნამდვილად ასეა. არასოდეს შემქმნია მცირედი დისკომფორტიც კი ჩემი ემიგრანტობის გამო. ამერიკა არის ქვეყანა, სადაც მიუხედავად შენი წარმომავლობის, სოციალური სტატუსის თუ საზოგადოებრივი მდგომარეობისა, სურვილის შემთხვევაში, შესაძლებლობა გაქვს მაქსიმალურად განვითარდე, მთავარია დასახული მიზნისთვის იშრომო, ძალისხმევა არ დაიშურო და წარმატებაც არ დააყოვნებს.

– COVID-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ მთლიანად შეცვალა პლანეტის მოსახლეობის ცხოვრების წესი. პანდემიის საწყის ეტაპზე საქართველოში აქტუალური იყო და დღესაც საინტერესოა უცხოეთში მოღვაწე ჩვენი თანამემამულე ექიმების რჩევების მოსმენა და გათვალისწინება...

– მგონი, რჩევების გათვალისწინება მისაღები და მიზანშეწონილია უშუალოდ დარგის სპეციალისტებისგან, ამ შემთხვევაში – ეპიდემიოლოგებისა და ინფექციონისტებისგან. პირადად, თავს ავარიდებ რჩევა-დარიგების თუ რეკომენდაციების მიწოდებას მოსახლეობისთვის იმ სფეროში, რომელიც სცილდება ჩემი უშუალო კომპეტენციის ფარგლებს. ალბათ, უმჯობესია, ამ საკითხზე დარგის სპეციალისტებმა ისაუბრონ.

– ახლახან თსსუ-ში საინტერესო ლექციები წაიკითხეთ მედიცინის აქტუალურ საკითხებზე... სამშობლოში ვიზიტისას, ალბათ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსაც სტუმრობთ ხოლმე და თვალს ადევნებთ მიმდინარე პროცესებს. რას უსურვებთ და როგორ წარმოგიდგენიათ მისი განვითარება?

– ხშირად, სამწუხაროდ, სამშობლოშიც ვერ ჩამოვდივარ, ადრე უფრო ვახერხებდი, ახლა უკვე 5 წელია არ ვყოფილვარ, თუმცა სურვილი ყოველთვის მაქვს და, ბუნებრივია, – სიხარულის განცდაც, უნივერსიტეტში სტუმრობისას – კიდევ უფრო მეტად, რადგან ეს ჩემი სტუდენტობის საყვარელი ადგილია, საბაზისო განათლება სწორედ აქ მივიღე, რასაც შემდეგ დაეფუძნა ჩემი სამედიცინო საქმიანობა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტი მედიცინის საფუძვლებს უნდა ეზიაროს და საექიმო უნარ-ჩვევები აითვისოს, რისთვისაც, უპირველესად, აუცილებელია კლინიკური ბაზები. ექიმობა მაინც, განსხვავებით ბევრი სხვა დარგისგან, ხელობასთან ახლოს მდგომი პროფესიაა – უნდა ისწავლო ავადმყოფის მიღება-გასინჯვა, ნემსის გაკეთება, წნევის გაზომვა, ჭრილობის დამუშავება... მარტო თეორიული ცოდნით, თუკი იგი პრაქტიკით არ არის გამყარებული, ექიმი ვერ გახდები. ვისურვებდი, კიდევ ბევრი კლინიკური ბაზა ჰქონდეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, რომ სტუდენტებმა კლინიკური უნარ-ჩვევები აითვისონ და კარგ ექიმებად ჩამოყალიბდნენ. ვიცი, რომ უნივერსიტეტის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა ზრუნავს ამაზე და წარმატებები მინდა ვუსურვო მას.

– ხომ არ უკავშირდება თქვენი გეგმები საქართველოში პროფესიულ საქმიანობას და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან თანამშრომლობას?

–ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, თუმცა, ვფიქრობ, ტკივილის მედიცინის მიმართულებით გავაგრძელო საქმიანობა თბილისის კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკაში, სადაც განთავსებულია თსსუ-ის რეაბილიტაციის მიმართულების დეპარტამენტები და რეაბილიტაციის სპეციალისტები სწორედ ამ კლინიკაში უნდა აღიზარდონ.

– სულ მალე კურსდამთავრებულთა კიდევ ერთი თაობა დაასრულებს უნივერსიტეტში სწავლას და დაიწყება ახალი, უკვე პროფესიული დახელოვნების, ეტაპი მათ ცხოვრებაში. რას ურჩევდით მათ?

– ვიტყოდი, რომ დღეს ძნელი არ არის ცოდნის მიღება. დღევანდელი სტუდენტები გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე ჩვენ ვიყავით სტუდენტობისას – ენის ცოდნის შემთხვევაში და ინტერნეტის პირობებში ინფორმაცია ისევე ხელმისაწვდომია სტუდენტისთვის, როგორც პროფესორის, ან აღიარებული პროფესიონალისთვის. ერთ-ერთ ლექციაზე აღვნიშნე კიდეც: ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისამდე, ფაქტობრივად, დაავადებების მკურნალობა არ ხდებოდა, რადგან არ არსებობდა საჭირო მედიკამენტები – წნევის, გულის, დიაბეტის, ანტიბიოტიკები... მაგრამ იყვნენ ცნობილი და ნაკლებად ცნობილი ექიმები. ე. ი. უმნიშვნელოვანესი იყო ექიმის დამოკიდებულება და ურთიერთობა პაციენტთან – თუკი ექიმს არა აქვს უნარი პაციენტთან სწორი კომუნიკაციის, რომ დაამშვიდოს, რწმენა ჩაუნერგოს მას, თუ არა აქვს ადამიანის დახმარების ბუნებრივი სურვილი, ექიმად ვერ გამოდგება. როგორც ზემოთ აღვნიშნე, გასულ ეპოქასთან შედარებით, ცოდნის მიღების შეუდარებლად მეტი შესაძლებლობაა, თუმცა დღევანდელობაც მეტ ცოდნას და შრომას მოითხოვს, რომ ექიმი სრულად პასუხობდეს XXI საუკუნის მედიცინის მოთხოვნებს. მიზანდასახულობით, შრომით და მონდომებით ყველა სირთულის დაძლევა შეიძლება. ვისურვებდი, მომავალმა ექიმებმა სრულად გააცნობიერონ ის პასუხისმგებლობა, რასაც ექიმის პროფესია აკისრებთ, ჩვენ კი გვეამაყოს, რომ ისინი სწორედ ამ დიდი ტრადიციების უმაღლესი სასწავლებლის – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები არიან.

ესაუბრა ნატო ბოლქვაძე

მნიშვნელოვანი საჩუქარი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის კურსდამთავრებულები რომ მუდმივად რჩებიან ერთგულ გულშემატკივრებად და მეგობრებად, ეს არაერთხელ გვითქვამს და შესაბამისი მაგალითებიც მოგვიყვანია.

ზოგჯერ ეს ერთგულება ძალიან უხმაუროდ, მაგრამ დიდი რუდუნებით და სიყვარულით გამოიხატება ხოლმე და უდიდეს გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრებაზე. სწორედ ასეთი თავმდაბალი და დიდი სიყვარულის მაგალითია ორთოპედ-ტრავმატოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ლამარა თვალიაშვილი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (უნივერსიტეტის) კურსდამთავრებული. მან სამკურნალო ფაკულტეტი ზუსტად 60 წლის წინ – 1961 წელს დაამთავრა.

1969-1994 წლებში იყო ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ორდინატორი; 1994-1996 წლებში – უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; 1996 წლიდან კი წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი. ქალბატონ ლამარას გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, საავტორო უფლებებით აღიარებული და კლინიკაში დანერგილია 48 გამოგონება; დიდი წვლილი შეიტანა სამედიცინო ტერმინთა დაზუსტების სფეროში – მუშაობდა ტერმინოლოგიურ ლექსიკონზე ორთოპედია-ტრავმატოლოგიაში. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ ქალბატონი ლამარა არის პირველი ქართველი ექიმი ქალი, რომელმაც სამედიცინო დარგში მიიღო სსრკ სახელმწიფო პრემია 1987 წელს გამოგონებისთვის “სინდაქტილიის მკურნალობის დისტრაქციული მეთოდი”, ამ გამოგონების ციკლთან დაკავშირებით მას მიღებული აქვს „სსრკ გამომგონებლის” წოდება.

ქალბატონი ლამარა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შესახებ უამრავ ინფორმაციას ინახავს. ბევრი რამ საკუთარი გამოცდილებით იცის, თავად უნახავს, ბევრს კი ბეჭდურ თუ ელექტრონულ სივრცეში ადევნებს თვალს. მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ტრადიციების პატივისცემა, ძველის სათანადოდ შესწავლა და შენახვა და, ამასთანავე, ახლის მიღება, გააზრება და დანერგვა. საკუთარი ხასიათიდან გამომდინარე, თავმდაბალი უარი გვითხრა ინტერვიუზე, თუმცა ფაქტებმა თავისთავად შეიძლება მეტი გითხრან, ვიდრე ნებისმიერმა ინტერვიუმ. ქალბატონი ლამარა თვალიაშვილი შინ ინახავს „სამედიცინო გაზეთის“ (დაარსების დროიდან – „მედიცინის მუშაკის“) ძალიან ბევრ ნომერს. მასთანვე ინახებოდა დღეს რარიტეტად ქცეული „მედიცინის მუშაკის“ პირველი ნომერი, 1957 წლის გამოცემა. ეს ნომერი, სამწუხაროდ, დაკარგულად ითვლებოდა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არ იყო დაცული. რამდენიმე წლის წინ, 2012 წელს, თსსუ-ის „სამედიცინო გაზეთს“ 55 წლისთავისადმი მიძღვნილი პუბლიკაციის მომზადებისას, გაზეთის პირველ ნომერს ვერც ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიაკვლიეს.

ქალბატონმა ლამარა თვალიაშვილმა თავის მშობლიურ უნივერსიტეტს გაზეთის დაკარგული პირველი ნომერი დაუბრუნა, როგორც ხსოვნა და დასტური იმისა, რომ შენი მშობლიური უნივერსიტეტის ისტორია შენი ცხოვრების ისტორიის ნაწილი ხდება. მისი მოფრთხილება და მასზე ზრუნვა ნებისმიერი კურსდამთავრებულისთვის ზნემაღალი, მოწოდების სიმაღლეზე მყოფი არსებობის უტყუარი დასტურია.

გმადლობთ, ქალბატონო ლამარა!

კოლეგისა და ახლობელი ადამიანის ხსოვნას

ქართულმა სამედიცინო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული პედიატრი, პროფესორი ნინო მანჯავიძე.

ქალბატონ ნინო მანჯავიძეს დიდი ხანია, 1967 წლიდან, ვიცნობდი – ამ წელს იგი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ბავშვთა სნეულებათა კათედრის ლაბორანტი გახდა. კათედრას მამაჩემი, ირაკლი ფაღავა, ხელმძღვანელობდა, რომელიც, ყოველ აღდგომასა და დაბადების დღეზე, ყველა თანამშრომელს მოიწვევდა ხოლმე. მაშინ სტუდენტი ვიყავი, მერიქიფის როლს ვასრულებდი და, ცხადია, ყველას ვიცნობდი.

სხვათა შორის, იმ დროს, როგორც ჩანს, ასეთი მოდუსი იყო – პერიოდულად, შეფს, პროფესორს, ინსტიტუტის დირექტორს, წვეულება უნდა გაემართა, ახლა „კორპორატიულ წვეულებას“ რომ ეძახიან. კოლექტივი ხომ ოჯახი იყო. მამაჩემისგან გამიგონია: უროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ალექსანდრე წულუკიძე ამის თადარიგს ერთი-ორი თვით ადრე დაიჭერდაო. ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის გამგე, პროფესორი კოტე ვირსალაძე, სტატუსიდან გამომდინარე, ყოველწლიურად თერაპიაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ ინიშნებოდა და მთელი სესიის განმავლობაში, კომისიის წევრებს პურ-მარილს უმართავდა, რაც ოთხ-ხუთ დღეს გასტანდა ხოლმე. სხვათა შორის, კათედრა იმჟამად ე. წ. მიხაილოვის საავადმყოფოში იყო, ბატონი კოტეს ბინაც, მამისაგან, სამკურნალო ფაკულტეტის ერთ-ერთი მესაძირკვლისგან, პროფესორი სპირიდონ ვირსალაძისგან, დანატოვარი, კლინიკის ტერიტორიაზე იყო. პროფესორებს საცხოვრებელს სტაციონარის სიახლოვეს აძლევდნენ, ავადმყოფებთან ახლოს რომ ყოფილიყვნენ. სხვათა შორის, შემოვლებსაც დღის ნებისმიერ დროს ატარებდნენ.

ადამიანი რეალურად არ იცვლება. ქალბატონი ნინო (ჯერო) ჩემზე უფროსი იყო, მაგრამ მაინც ფრიადოსან, ბაფთიან მოწაფე გოგონად მესახებოდა: ყოველთვის მოწესრიგებული, ბეჯითი, პენიანი, ნიჭიერი და შრომისმოყვარე, ყველაფერს დროულად და ჩინებულად აკეთებდა. ბარნოვის მეოთხე ჩიხში ცხოვრობდა, პატარა ოთახი ჰქონდა, კაბინეტი, რომელიც ქუჩიდან მოჩანდა და მისი მეზობლებისგან გამიგონია: გვიან საღამომდე საწერ მაგიდას უჯდაო. სკოლა ოქროს მედლით დაამთავრა, ინსტიტუტი – წარჩინებით, შემდეგ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, სადოქტორო დისერტაცია... შესაბამისად, აკადემიური კარიერის ყველა საფეხური – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის კათედრის/დეპარტამენტის ხელმძღვანელამდე – დამსახურებულად და Lege Artis გაიარა.

კარგი პედაგოგი იყო, – სტუდენტებში საკმაოდ პოპულარული. წლების შემდეგაც ნამოწაფარნი მას კეთილად იგონებდნენ, პირველ რიგში, როგორც მომხიბლავ ახალგაზრდა მასწავლებელს. ლექციები კი განსაკუთრებული ჰქონდა, მოსაზღვრე დისციპლინებიდან ინფორმაციით გამდიდრებული, ლიტერატურული რემინისცენციებით და ციტატებით გალამაზებული; პრიორიტეტს, ზოგად, პრობლემებს ანიჭებდა; მჭევრმეტყველი იყო, თუმცა სტუდენტებს ზოგჯერ უჭირდათ მის აზრს მიჰყოლოდნენ. სხვათა შორის, ჩემი მასწავლებლის, პროფესორი მერი გელოვანის, ლექციებიც საკმაოდ რთული იყო. აკადემიკოსი თამარ დეკანოსიძე ამბობდა: „რომ შეაფასო, შესაფასებელ პიროვნებასთან მიახლოებულ დონეზე მაინც უნდა იყოო.“ უნდა ითქვას, რომ ირაკლი ფაღავას და მისი მოწაფეების: ნოდარ ხერხეულიძის, ჯერო მანჯავიძისა და ლალი ბრეგვაძის ლექციები, გარკვეულწილად, ერთი სტილის მატარებელი იყო. ისე, მეც ამ სკოლის კვალი მეტყობა.

ქალბატონმა ნინომ პროფესორის ვალიც მოიხადა: მოამზადა შესანიშნავი, თანამედროვეობის შესაბამისი სახელმძღვანელო, ასევე, რამდენიმე დამხმარე სახელმძღვანელოც.

აქტიური მეცნიერი იყო, სამეცნიერო ნაყოფიერებით თანამედროვე მედიკოს-მეცნიერებში ერთ-ერთი საუკეთესო: მრავალი სტატიის ავტორი, ციტირების მაღალი ინდექსით; ოცზე მეტი დისერტაციის ხელმძღვანელი; მონოგრაფიების ავტორი, სამეცნიერო გრანტების რეციპიენტი. მრავალმხრივი სამეცნიერო ინტერესები ჰქონდა, უპირატესობას დაავადებების პათოგენეზის და, ასევე, რისკ-ფაქტორების შესწავლას ანიჭებდა; შეეხო ისეთ საჭირბოროტო საკითხებს, როგორიცაა, მაგალითად, ეკოლოგიური პედიატრია, აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების ჯანმრთელობის ასპექტები.

ქალბატონი ნინო ქართველ პედიატრთაგან ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც უცხოეთთან სამეცნიერო კავშირი გააბა – მოხსენებები ყრილობებზე, ერთობლივ პროექტებში ჩართვა, იყო ჯანმო-ს ერთ-ერთი პუბლიკაციის რეცენზენტიც.

კერძო საექიმო პრაქტიკას არ ეწეოდა. საავადმყოფოში, ცხადია, პროფესორის კლინიკურ მოვალეობებს მაღალ დონეზე ასრულებდა. სხვათა შორის, პროფესორი მერი გელოვანიც ზუსტად ასე იქცეოდა.

ჰერმან ჰესეს „მინის ბურთულაკებით თამაში“ მახსენდება, სადაც „პედაგოგიური პროვინცია“ – კასტალია არის აღწერილი, ნაჩვენებია იქაური იერარქიის წარმომადგენლები როგორ სკრუპულოზურად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს. ასეთი იყო ქალბატონი ნინოც, უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი, სალიცენზიო საბჭოს თავმჯდომარე, უწყვეტი პროფესიული განათლების ინსტიტუტის დირექტორატის წევრი, სარეზიდენტო პროგრამების ხელმძღვანელი და ექსპერტი, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, მოადგილე, რეცენზენტი, ოპონენტი, ქალთა საბჭოს წევრი, ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ საპატიო წევრი, სამეცნიერო ჟურნალის თანარედაქტორი, ჯანმო-ს პროგრამების დანერგვის მონაწილე, ნაციონალური და საერთაშორისო პროფესიული ასოციაციებისა და აკადემიების წევრი, სამეცნიერო კრებულების რედაქტორი, – რომელი ერთი ჩამოვთვალო...

პიროვნული თავისებურებები: ყოველმხრივ მომხიბლავი, პრინციპული, კეთილმოსურნე... ვინმეზე აუგის თქმა არ იცოდა. ბევრს ეხმარებოდა.

რამდენიმე სიტყვა ქალბატონი ნინოს ოჯახზე: მამა, ბატონი შალვა, ცნობილი იურისტი იყო, მამამთილი – პროფესორი ვახტანგ შანიძე, სასამართლო მედიცინის დიდი მოამაგე, მეუღლე – თენგიზი (პოკი) – ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ჭეშმარიტი ქალაქელი კაცი; საჩინო ვაჟი – ვახტანგი და რძალი – თამრიკო, მაგრამ ყველაზე დიდი სიყვარული მაინც შვილიშვილი – ელენიკო იყო, მასზე გადაყოლილი დიდედა გახლდათ.

წლები გადის, მრავალი გვშორდება და მათგან დატოვებული სიცარიელე აღარ ივსება. პროფესორმა ნინო მანჯავიძემ ქართული პედიატრიის ისტორიაში სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი.

ჯერო კი, კოლეგებსა და მეგობრებს, ყოველთვის დიდი სითბოთი და სიყვარულით გვემახსოვრება.

პროფესორი ყარამან ფაღავა

თენგიზ მეძმარიაშვილი

ღირსეულ ქართველ ექიმთა რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი პიროვნება და პროფესიონალი, თენგიზ მეძმარიაშვილი, რომლის ცხოვრების და საქმიანობის ნახევარსაუკუნოვანზე მეტი ხნის ისტორია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტს (უნივერსიტეტს) უკავშირდება.

ბატონმა თენგიზმა, გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დასრულებისთანავე, იწყო სვლა კლინიკური საქმიანობისკენ – გახდა თბილისის N1 კლინიკური საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების ექიმი ორდინატორი, შემდეგ – თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თერაპიის კათედრის ასისტენტი; გასული საუკუნის 1960-იანი წლიდან იგი საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი, სწავლული მდივანი და ვექტორ-ელექტროკარდიოგრაფიის სექტორის ხელმძღვანელია.

70-იან წლებში ბატონი თენგიზი მშობლიური სამედიცინო ინსტიტუტის სასწავლო პროცესში ჩაერთო – კონკურსით აირჩიეს პედიატრიის, სანიტარიული ჰიგიენის და სტომატოლოგიის ფაკულტეტების ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის ასისტენტად, შემდეგ – დოცენტად;

1979-1980 წლებში ანგოლის სახალხო რესპუბლიკაში სამედიცინო დახმარების ცენტრის გენერალურ დირექტორად მიავლინეს, სამშობლოში დაბრუნებული კი, ნაყოფიერ პრაქტიკულ და პედაგოგიურ საქმიანობას წარმატებით უთავსებდა სამეცნიერო მუშაობას – დაიცვა სამეცნიერო ხარისხი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის წოდების მოსაპოვებლად, შესრულებული აქვს 30 სამეცნიერო შრომა.

თენგიზ მეძმარიაშვილი გახლდათ თბილისის თერაპევტთა სამეცნიერო საზოგადოების წევრი, ასევე, აქტიურად მოღვაწეობდა დედაქალაქის საქარხნო რაიონის საბაზო მედიცინის სახალხო უნივერსიტეტის პრორექტორის თანამდებობაზე.

საზოგადოებრივი საქმიანობაც მისი აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია გახლდათ – 1974 წელს იგი გარე ყამირზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმს ხელმძღვანელობდა, ასევე, სხვადასხვა პერიოდში – თსსი-ის ე. წ. კომპლექსურ საექიმო სტუდენტურ ჯგუფს, რომელიც სამკურნალო-პროფილაქტიკურ დახმარებას უწევდა შირაქის მაღალმთიან საძოვრებზე მყოფ მომთაბარე მეცხოველეებს; 1976 წელს თსსი-ის რექტორატმა იგი ახალქალაქის რაიონულ ცენტრსა და მაღალმთიან სოფლებში მოსახლეობისა და საძოვრებზე მყოფი მეცხოველეებისა და მათი ოჯახებისთვის პროფილაქტიკური სამედიცინო მუშაობის ჩასატარებლად მიავლინა; საქმისადმი მისი გულისხმიერი დამოკიდებულება და ნაყოფიერი საქმიანობა კი არაერთი სამთავრობო ჯილდოთი აღინიშნა.

1994 წელს თენგიზ მეძმარიაშვილი თსსუ-ის სტომატოლოგიური და პროფილაქტიკური მედიცინის ფაკულტეტების შინაგან სნეულებათა კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებელი, შემდეგ კი – ამავე კათედრის დოცენტი გახლდათ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ბატონი თენგიზის სპორტული მიღწევების შესახებაც – იგი წლების განმავლობაში თბილისის ,,დინამოს'' ოსტატ კალათბურთელთა გუნდის შემადგენლობაში ირიცხებოდა, გახლდათ საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი და მის სპორტულ აზარტს და შემართებას არაერთი მაყურებლისთვის დაუმახსოვრებია თავი.

ექიმთა თაობებს, კოლეგებს, ქართული სპორტის გულშემატკივრებს მუდამ ემახსოვრებათ ბატონი თენგიზ მეძმარიაშვილი - ღირსეული და დარბაისელი პიროვნება, მაღალი სულიერების მქონე ადამიანი, განსწავლული მედიკოსი, პედაგოგი და საამაყო სპორტსმენი, მნიშვნელოვანი წვლილი რომ შეიტანა საქართველოში მედიცინისა და სპორტის წინსვლა-განვითარების საქმეში.

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის ზოგადი თერაპიის დეპარტამენტი**

მაია დგებუაძის მოსაგონარი

ჯერ კიდევ უძველეს სამყაროში ამბობდნენ, რომ მასწავლებლის ცხოვრება შეგირდებით იზომება. თუ ამ მხრივ შევხედავთ, ასოცირებული პროფესორი მაია დგებუაძე, უდავოდ, ღირსეულად ატარებდა მასწავლებლის მაღალ წოდებას, არაერთი წარჩინებული და ცნობილი ექიმი ამბობს, რომ მისი სტუდენტი იყო და ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი და ღირებული გახლდათ მათ პროფესიულ ცხოვრებაში.

საყვარელი პედაგოგის გარდაცვალების გამო განსაკუთრებულ ემოციას და დიდ გულისტკივილს გამოხატავს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორი, პროფესორი ლევან რატიანი: „სიკვდილმა გაიმარჯვა სიცოცხლეზე, ეს ბუნების კანონია თითქოს, მაგრამ შეუგუებელი, მოიხედავ და... ოცი წელი გასულა, რაც ერთმანეთი გავიცანით და დღეს კი ვემშვიდობები!.. ვემშვიდობები დიდი ტკივილით, ჩემს საყვარელ პროფესორს, მაია დგებუაძეს, პროფესორს, რომელმაც სიცოცხლეში ბრძოლა და თავმდაბლობის სიმბიოზი მასწავლა, მასწავლა როგორ უნდა მიაღწიო ცოდნით წარმატებას...

ბევრი გვქონდა საკეთებელი, მაგრამ წუთისოფელმა მიწიერ ცხოვრებაში ერთმანეთს დაგვაცილა, დაგვაცილა დროებით, იმ რწმენით, რომ კვლავ შევხდებით ერთმანეთს.... მშვიდობით, პროფესორო... მე კი პირობას გაძლევთ, რომ თქვენს დაწყებულ ყველა საქმეს ბოლომდე მივიყვან!..

სხვისთვის უჩინარი იყო ადამიანი, რომელიც მიქმნიდა წარმატების გარემოს. ღირებული დარიგება ყოველ ცისმარე დღეს, დილით, ასე იწყებოდა: „შვილო, მომისმინე“... და ვუსმენდი გაჩუმებული, გულისყურით...

შენი წარმატება მახარებს და მაცოცხლებსო, – მეუბნებოდა... მადლობა, ჩემო პროფესორო, ჩემთვის გაკეთებული ყველა სიკეთისთვის... მე კი შეუძლებელს გავაკეთებ, ღირსეულად რომ დავასრულო ცხოვრება, როგორც ექიმმა. მშვიდობით”.

მაია დგებუაძე – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადამიანის ნორმალური ანატომიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ინტეგრაციული ანთროპოლოგიის საერთაშორისო აკადემიის წევრი, მორფოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, სიცოცხლის ბოლომდე სტუდენტთა სამსახურში იდგა.

ქალბატონი მაია დგებუაძე 1954 წელს ხობში დაიბადა. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრებისთანავე, 1971 წელს, იგი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად – სამედიცინო უნივერსიტეტი) სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა და ამის შემდეგ, ბოლო დღემდე, ქალბატონმა მაიამ მისი არცთუ ხანგრძლივი სიცოცხლის უდიდესი და ნაყოფიერი პერიოდი მშობლიურ უნივერსიტეტში გაატარა – მას სხვაგან არ უმუშავია; აქ მან თანმიმდევრულად გაიარა პროფესიული და აკადემიური კარიერის საფეხურები. სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდგომ პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო ადამიანის ნორმალური ანატომიის კათედრაზე (ამჟამად – დეპარტამენტი): იყო ასისტენტი (1978 - 1990), უფროსი მასწავლებელი (1990 - 1991), დოცენტი (1991 - 1994), პროფესორი (1994 - 2006), 2006 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე – ასოცირებული პროფესორი. ანატომიის კათედრაზე შეასრულა საკანდიდატო (1985) და სადოქტორო (1993) დისერტაციები. მის სამეცნიერო ინტერესს, ძირითადად, თირკმლის, ღვიძლის და ელენთის მორფოლოგიური მახასიათებლების კვლევა წარმოადგენდა ასაკობრივი, სქესობრივი და სხვა თავისებურებების გათვალისწინებით.

პროფესორი მაია დგებუაძის – მკვლევრის და მასწავლებლის – ავტორიტეტი იყო მაღალი; მისი, როგორც ოპონენტისა თუ რეცენზენტის საქმიანობის გეოგრაფიული არეალი კი – ძალიან ფართო: საკმარისია თუნდაც იმის აღნიშვნა, რომ პროფესორი მაია დგებუაძე იყო ცნობილი სამეცნიერო ჟურნალის – „Archiv Euromedica“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, ჟურნალის – „Biomedical and Biosocial Anthropology“ სარედაქციო საბჭოს წევრი.

ქალბატონი მაია 200-მდე სამეცნიერო პუბლიკაციის, სასწავლო-მეთოდური ნაშრომის და მონოგრაფიის ავტორია; მის მიერ შექმნილი ადამიანის ანატომიის ატლასი – „ნატურალური ანატომიური პრეპარატების გალერეა“ (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე) მეტად ორიგინალური და შრომატევადი ნამუშევარია, სამაგიდო წიგნი მომავალ მედიკოსთა კიდევ არაერთი თაობისთვის. აღსანიშნავია მაია დგებუაძის მიერ შექმნილი რამდენიმე სასწავლო ვიდეოფილმი, რომელიც გვიამბობს თავად ავტორის მიერ დამზადებულ ანატომიურ პრეპარატებზე.

შეუძლებელია არ აღინიშნოს მაია დგებუაძის ღვაწლი, დაუღალავი შრომა და ძალისხმევა ასეულობით ანატომიური პრეპარატის აღდგენის საქმეში, რაშიც მას, ქართველ კოლეგებთან და მონაფეებთან ერთად, უცხოელი კოლეგებიც ეხმარებოდნენ, რაც მაია დგებუაძის უდავო პროფესიულ ავტორიტეტზე მეტყველებს. ამიტომაც ფლობდა ქალბატონი მაია არაერთ საპატიო პროფესიულ რეგალიას: 2013 წელს ევროპულმა აკადემიამ მას მიანიჭა საპატიო მეცნიერის წოდება (რომი), ამავე წელს დაჯილდოვდა რობერტ კოხის მედლით (ჰანოვერი); იგი დაჯილდოებული იყო, ასევე, ლესგაფტის მედლით, პრივესის მედლით.

ქალბატონ მაიას განსაკუთრებულად უყვარდა სტუდენტები – მათთან ურთიერთობა, მათთან მუშაობა. სიმბოლურია, რომ ბოლო, ძალიან მძიმე დღეები მან თავისი მოწაფეების გარემოცვაში გაატარა, არ დაკლებია მათი ყურადღება და ზრუნვა, მაგრამ, სამწუხაროდ, მასწავლებელიც და მოწაფეებიც უძლურნი აღმოჩნდნენ უკურნებელი სენის წინაშე.

**მოწაფეები,
თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტი**

მეგობრის და ხელოვნის ხიყვარულ-ილ

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები ყოველთვის გამოირჩეოდნენ შემოქმედებითი ნიჭით, უნივერსიტეტი კი ყოველგვარ პირობას უქმნიდა და უქმნის მათ ამ კუთხით საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენისთვის. ამჯერადაც, თსსუ-ის კულტურის ცენტრის დირექტორის, ბატონი ბადრი მაჭავარიანის ინიციატივით და სტუდენტური თვითმმართველობის აქტიური ჩართულობით თსსუ-ის სხვადასხვა ფაკულტეტის (მედიცინის, სტომატოლოგიის, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის) სტუდენტების: ***ხატია შენგელიას, გიორგი მაზიაშვილის, ანი უგულავას, ირაკლი ქომეთიანის, რუფატ მოლაგასანოვის, ნიკოლოზ მეყანწიშვილის, ელზა გველესიანის, მარიამ ყიფშიძის, სალომე სეხნიაშვილის, ნოდარ მაისურაძის, მარიამ მირიანაშვილის, ბაია სამუშიას, ანი გოგოჭურის, ქეთევან პაპოშვილის*** *ფერწერული ნამუშევრების გამოფენა გაიმართა. ღონისძიება, პანდემიის გათვალისწინებით, ღია სივრცეში, ეპიდემიოლოგიური რეგულაციების დაცვით ჩატარდა და დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.*

გავესაუბრეთ კულტურის ცენტრის დირექტორს, ბატონ **ბადრი მაჭავარიანს**, რომელმაც აღნიშნა:

გასაკვირი არ არის, რომ საზოგადოებას მოენატრა კულტურული თავყრილობები: შეხვედრები, კონცერტები, პრემიერები, გამოფენები... ჩვენი უნივერსიტეტი არაერთი ასეთი ღონისძიების მასპინძელი ყოფილა და, დარწმუნებული ვარ, მომავალშიც ასე იქნება. ამჯერად კი, პანდემიის პირობებში, ვცადეთ შეგვეკრიბა ფერწერით დაინტერესებული სტუდენტები და, ღია სივრცეში, მათი ნამუშევრების გამოფენა მოგვეწყო. გამოფენისთვის მზადებაში აქტიურად ჩაერთო და დიდი შრომა გასწია თსსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ და მისმა ხელმძღვანელმა, ანა კაკაბაძემ.

მახსოვს მრავალი წლის წინ გამართული ასეთი გამოფენა, თუმცა – არა ასეთი მასშტაბური. იდეა რამდენიმე თვის წინ დაიბადა და ამ ფორმით მისი მნახველისთვის შეთავაზება პანდემიამ „მიკარნახა“, თუმცა, საბედნიეროდ, ღია სივრცეში ჩატარებული გამოფენა საინტერესო აღმოჩნდა იმ თვალსაზრისითაც, რომ მისი ნახვა მარტივად ხელმისაწვდომია მსურველისთვის, ამიტომაც არ წყდება დამთვალიერებელთა ნაკადი, რომლებიც ყოველდღე სტუმრობენ გამოფენას, მათ შორის, საერთაშორისო სტუდენტებიც. დიდი სურვილი გვქონდა ისინიც ჩართულიყვნენ ღონისძიებაში, რაც ამ ეტაპზე არ მოხერხდა, თუმცა გათვალისწინებულია სამომავლოდ. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, პირადად, რექტორს, პროფესორ **ზურაბ ვადაჭკორიას** და კანცლერს, პროფესორ **ზურაბ ორჯონიკიძეს**, რომელთა თანადგომის გარეშე ღონისძიება ვერ შედგებოდა; ასევე, კანცლერის მოადგილეს ინფრასტრუქტურული პროექტების სტრატეგიული განვითარების დარგში, ბატონ **ალექსანდრე ბუაჩიძეს**, მთელ ინფრასტრუქტურის სამსახურს, რომელთა წვლილიც დიდია გამოფენის მომზადებასა და მაღალ დონეზე ჩატარებაში.

გამოფენას მუსიკალურად აფორმებდნენ კულტურის ცენტრთან არსებული კლასიკური მუსიკის განყოფილებაში გაერთიანებული თსსუ-ის სტუდენტები.

აღსანიშნავია, რომ გამოფენის მონაწილე არაერთი სტუდენტისთვის ეს არ გახლდათ პირველი გამოფენა და მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ შესაძლებლობა მიეცათ საყვარელ Alma Mater-ში წარმოედგინათ ნამუშევრები. დიდი სურვილი მქონდა, ეს შესაძლებლობა დროში შეზღუდული არ ყოფილიყო და გადავწყვიტეთ გამოფენა ივნისის ბოლომდე გაგრძელდეს, რომ ყველა მსურველი გაეცნოს თსსუ-ის სტუდენტთა შემოქმედებას. კიდევ ვგეგმავთ როგორც ხელოვან სტუდენტთა ხელნაკეთი ნივთების, ისე – თსსუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა ფერწერული ნამუშევრების გამოფენის მოწყობას. ასე რომ, კულტურის ცენტრი არაერთ საინტერესო ღონისძიებას გპირდებათ მომავალშიც“...

როგორც ბატონმა ბადრიმ გვითხრა, გამოფენაში მონაწილეობის სურვილი ბევრმა სტუდენტმა გამოთქვა, მაგრამ, ბუნებრივია, ამ ეტაპზე ყველას ნამუშევრების წარდგენა ვერ მოხერხდა – საუკეთესოები შეირჩა: საინტერესო პეიზაჟები, პორტრეტები, ნატურმორტები... წარმოდგენილი ნახატებიდან ბევრი იყო შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი: ზოგი – ფერების გრადაციით, ზოგი - კომპოზიციური სირთულით და შესრულების ტექნიკით, დინამიკით და რიტმით, ზოგი – მითოლოგიურ სიუჟეტებზე შექმნილი სკულპტურების გრაფიკული გამოსახვით, ზოგი - სიურეალისტური ხედვით... მოკლედ, მრავალფეროვნებით...

აღსანიშნავია, რომ ნამუშევრების ავტორების უმრავლესობა, ხატვასთან ერთად, დაინტერესებულია ხელოვნების სხვადასხვა სფეროთი: ფოტოხელოვნებით, მუსიკით, ცეკვით... ამასთანავე, ყველას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ მთავარი და უმნიშვნელოვანესი მათი მომავალი პროფესიაა, რომლის საფუძვლიანად დაუფლებისთვის ძალისხმევას არ იშურებენ. ჩვენ ბევრ მათგანთან შევძელით გასაუბრება; ისინი, უპირველესად, მადლობას უხდიან თსსუ-ის ხელმძღვანელობას, კულტურის ცენტრს და მის ხელმძღვანელს, სტუდენტურ თვითმმართველობას ღონისძიების ორგანიზებისა და შემოქმედებითი ნიჭის წარმოსაჩენად უნივერსიტეტში შექმნილი საუკეთესო პირობებისთვის; გატაცებით საუბრობენ საყვარელ საქმიანობაზე და მათი დამოკიდებულებაც მომავალი პროფესიისა და ხელოვნებისადმი ისეთივე საინტერესო და სიყვარულით გაჯერებულია, როგორც მათი შემოქმედება.

ირაკლი ქომეთიანი, მედიცინის ფაკულტეტის მე-12 სემესტრის სტუდენტი:

ხელოვნებისადმი სიყვარული ადამიანის ბუნებიდან მოდის და, ალბათ, გარეშე იმპულსები ნაკლებად სჭირდება. შესაბამისად, მისადმი ინტერესიც ბავშვობიდანვე იჩენს ხოლმე თავს. ჩემ შემთხვევაშიც ასე მოხდა. სკოლაში სწავლის პერიოდში ორჯერ წარვადგინე ნამუშევრები გამოფენაზე, ამჯერად კი, საშუალება მომეცა ჩემს საყვარელ უნივერსიტეტში გამართულ გამოფენაში მიმეღო მონაწილეობა. მიხარია, რომ იმ უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ, რომელსაც ბევრი წარმატებული ექიმი აღუზრდია, რომელთაც დღეს წამყვანი საექიმო პოზიციები უკავიათ საქართველოსა თუ უცხოეთის არაერთ ქვეყანაში. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მუდმივად განაგრძობს განვითარებას და დღესაც, ასეთ რთულ დროს, პანდემიის პირობებში, საუკეთესო მაგალითია იმის, თუ როგორ უნდა ემსახურო შენს ქვეყანას. ამასთანავე, სიამოვნებთ აღვნიშნავ, რომ თსსუ ურთიერთობაა, გარემოა, რომელიც, პროფესიული ცოდნის დაუფლებასთან ერთად, გაძლევს შესაძლებლობას შეიძინო კარგი მეგობრები, ჩაერთო გაცვლით პროგრამებში და თავი შემოქმედებითი კუთხითაც გამოხატო.

გამოფენაზე ჩემი 3 ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. დამთვალიერებელს ყველაზე მეტად „მოხუცი ჯამბაზი“ მოეწონა: – „ნამდვილ ჯამბაზს თვალებში ყინული და წებო კი არა, ნაღვლიანი საიდუმლო უნდა ჰქონდესო,“ – გურამ დოჩანაშვილის ეს სიტყვები შესანიშნავად ესადაგება ნამუშევარს. მართლაც, თუკი ამ მოხუცს თვალებში ჩახედავთ, მისი ცხოვრების სევდიანი ისტორიების ამოკითხვას შეძლებთ.

ყველაზე ხშირად პორტრეტებს და პეიზაჟებს ვხატავ. მგონი, ამჯერად ძიების და საკუთარი ხელწერის ჩამოყალიბების პროცესში ვარ, ვცდილობ, საყვარელი მხატვრების ტილოებიდან მივიღო ინსპირაცია და შემდეგ საკუთარ ხედვაში გარდავსახო. ვფიქრობ, ხატვას ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა ჩემს ცხოვრებაში. მართალია, პერსონალურ გამოფენაზე არასდროს მიფიქრია, თუმცა, ვინ იცის? – ერთ დღეს ყველაფერი შეიძლება მოხდეს...

ხატია შენგელია, მედიცინის ფაკულტეტის მე-7 სემესტრის სტუდენტი:

ბავშვობაში სამხატვრო სტუდიაში დავდიოდი და თავისუფალ დროს ხატვას ვუთმობდი, რადგან შემოქმედებითი პროცესი ჩემთვის განტვირთვასთან ასოცირდებოდა. ასეა ახლაც. ეს ჩემი პირველი გამოფენაა, რომელზეც ექვსი ნახატი წარმოვადგინე. შეიძლება ითქვას, ყველა ნახატი ჩემს განწყობას გამოხატავს და უფრო, ვიტყოდი, იმპრესიონისტულია, რადგან ყველა მათგანი წამიერ შთაბეჭდილებას და კონკრეტულ განცდას გადმოსცემს. მხატვრობაშიც ეს მიმართულება მომწონს ყველაზე მეტად, შესაბამისად, ჩემი საყვარელი მხატვრებიც: პოლ სეზანი, ედუარდ მანე, კლოდ მონე და სხვა იმპრესიონისტები არიან.

გარდა ხატვისა, ვარ გოგონათა ხალხურ ანსამბლ „დეკას“ მომღერალი, სადაც სიმღერის სიყვარულმა მიმიყვანა და ანსამბლში მუშაობაც დიდი გამოცდილებაა ჩემთვის. მართალია, პროფესიული არჩევანი მედიცინის სასარგებლოდ გავაკეთე, მაგრამ, იმედი მაქვს, სიამოვნებით შევუთავსებ ერთმანეთს ამ ორ საქმიანობას. ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ, ვფიქრობ, პერსონალური გამოფენისთვისაც მოვემზადები.

ნიკოლოზ მეყანწიშვილი, სტომატოლოგიის ფაკულტეტის მე-2 სემესტრის სტუდენტი:

ბავშვობიდან ვხატავ. საქართველოში ორ გამოფენაზე მქონდა წარმოდგენილი ნახატები, ერთხელ თურქეთშიც გავგზავნე გამოფენა-გაყიდვაზე, თუმცა, ვფიქრობ, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი უნივერსიტეტში მოწყობილ გამოფენაში მონაწილეობაა, სადაც 4 ნამუშევარი წარმოვადგინე: პეიზაჟი, ორი ნატურმორტი და პორტრეტი. ამ უკანასკნელზე ბევრი ვიმუშავე და დიდი ემოციაც ჩავდე, რაც, ვფიქრობ, უკან დამიბრუნდა დადებითი შეფასებებით. უმეტესად პეიზაჟებს ვხატავ. დაკვირვებული მნახველი იმპრესიონიზმის გავლენასაც შენიშნავდა იქ, სადაც ფერებით ვცადე გადმომეცა სათქმელი. მომწონს ვან გოგის და გოგენის შემოქმედება, ჩრდილებით და ხატვის ტექნიკით კარავაჯო შეუდარებელია, თუმცა ბოლო დროს სალვადორ დალის შემოქმედებამ გამიტაცა თავისი ორიგინალური და მკვეთრად გამორჩეული ხელწერით. ახლა ძალიან ნაყოფიერად ვმუშაობ, ბევრს ვხატავ და ვფიქრობ, ასე იქნება სულ, რადგან ხატვის გარეშე ვერ წარმომიდგენია...

ქეთევან პაპოშვილი, მედიცინის ფაკულტეტის მე-12 სემესტრის სტუდენტი:

მხატვრობით ადრეული ბავშვობიდან ვარ დაინტერესებული. ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის ხატვის კლასში 4 წლის განმავლობაში ვსწავლობდი ფერწერას, გრაფიკას, ქანდაკებას... ზეთში და აკვარელში ხატვა მოგვიანებით დავიწყე.

გამოფენაზე წარმოდგენილია ჩემი 4 ნამუშევარი. მათგან განსაკუთრებით გამოვარჩევ ვასილი კანდინსკის მიხედვით დახატულ ,,არაბულ ქალაქს“. ეს ნახატი ზეთის საღებავებში შესრულებული ჩემი პირველი ნამუშევარია და ამის გამო გამორჩეულად მიყვარს. სამედიცინო უნივერსიტეტში არსებული მოცულობითი სასწავლო პროგრამის, დატვირთული გრაფიკისა და შესაბამისად, დროის სიმწირის გამო, ბოლო წლებში ხშირად ვეღარ ვახერხებ ხატვას, თუმცა, იშვიათად მაინც, როცა ვუბრუნდები რომელიმე ნახატზე მუშაობას, ვგრძნობ, რომ ჩემთვის გადამწყვეტი ხატვის პროცესით სიამოვნების მიღებაა, ხოლო შედეგად – დასრულებული ნახატების შეყვარება. მომწონს სხვადასხვა ტექნიკით და მიმართულებით ხატვა, ახალი სტილის შერჩევა და ექსპერიმენტების ჩატარება საკუთარ თავსა თუ შესაძლებლობებზე. ეს მნიშვნელოვანია განვითარების თვალსაზრისითაც – იმისათვის, რომ რაიმე ღირებული შექმნა, ჯერ ძალიან ბევრი უნდა ისწავლო და იშრომო. მე კი ჯერ შეგირდის დონეზე ვარ, რომელსაც ოსტატი არ ჰყავს და ვცდილობ, თავად ვისწავლო ჩემივე მცდელობების წყალობით.

მიუხედავად იმისა, რომ მხატვრებიდან სალვადორ დალის გამოვარჩევ, ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა ვასილი კანდინსკის შემოქმედებამ. ამის გამოა, რომ „არაბული ქალაქის“ გარდა კიდევ რამდენიმე ისეთი ნახატი მაქვს შესრულებული, რომლებიც სწორედ ამ მხატვრის გავლენით დავხატე. თუმცა ბევრი სხვა მხატვრის მაღალ ოსტატობას, ფერთა სიუხვეს თუ სტილის მრავალფეროვნებას მოვუხიბლივარ. ჯერ სწავლის და ძიების პროცესში ვარ და, შესაბამისად, არც მითქვამს ჩემი სათქმელი. რაც შეეხება ექიმობას, ვფიქრობ, ძალიან ახლოს არის ჩემს პიროვნულ თვისებებთან. ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ ვაპირებ, რომ რეზიდენტურაში გავაგრძელო სწავლა, პარალელურად, შევეცდები, უფრო დავოსტატდე ხატვაში და დრო გამოვძებნო ფორტეპიანოზე დაკვრისთვისაც, რაც, ასევე, ძალიან მიყვარს.

მიხარია, რომ ჩემი ნამუშევრების გამოფენის დებიუტი ჩემს საყვარელ უნივერსიტეტში შედგა, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ღონისძიების ორგანიზატორებს.

გიორგი მაზიაშვილი, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის მე-8 სემესტრის სტუდენტი:

ხელოვნებით დიდი ხანია, ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიაში სწავლის პერიოდიდანვე, დაინტერესებული ვარ. სანამ ხატვას დავიწყებდი, ფოტოხელოვნებით გახლდით გატაცებული. ძალიან გამიმართლა, რომ ჩემი პირველი მასწავლებლები იყვნენ საქართველოში საუკეთესო ფოტოხელოვანები: მარიამ ნაკანი და გიორგი მამასახლისი, რის გამოც ჩემი ფოტოები ხშირად ხვდებოდა ფოტოგამოფენებზე საქართველოში. რაც შეეხება ნახატებს, ბრიტანეთის შემდეგ საქართველოში, პირველად ჩემს უნივერსიტეტში, მომეცა მათი გამოფენის შესაძლებლობა.

ხატვა აქტიურად 15 წლის ასაკში დავიწყე, როცა შოტლანდიაში მომიწია სწავლის გაგრძელება. საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენის შემდეგ ჰობი მალე გადაიქცა აქტიურ და შრომატევად ყოველდღიურობად, იმდენად, რამდენადაც ბრიტანეთის ეროვნული საატესტატო გამოცდა ხატვაშიც უნდა ჩამებარებინა. როდესაც გამოფენაზე სტუმრები ნახულობდნენ ჩემს ნამუშევარს, ძირითადად, კითხვები დროის ფაქტორს უკავშირდებოდა, რადგან ყოველი ნამუშევრის უკან საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია; შემოქმედებაში გამოყენებულ ელემენტებს ცალ-ცალკე

ნოდარ მაისურაძე

ირაკლი ქომეთიანი



ქეთევან პაპოშვილი

დასასრული მე- 8 გვ-ზე



დასაწყისი მე-7გვ-დან

ვამუშავებ სხვადასხვა სახატავი მასალით. ერთ-ერთი ნახატი, რომელიც გამოფენაზე იხილეთ, იყო პროექტის ნაწილი, რომლის დასრულებისთვის, დაახლოებით, 5 თვე დამჭირდა, ხოლო ტილოზე 18 საათში დაიხატა.

ჩემი ნამუშევრები Contemporary art-ის ჟანრს მიეკუთვნება. გამოფენაზე ორი ნამუშევარი იყო წარმოდგენილი: „Brave New World“ და „Translucency“; ვფიქრობ, სახელწოდება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მნახველმა სწორი გზით გააგრძელოს იმის ძიება, თუ რას ჰყვება ნახატი. ჩემს ყოველ ნახატს აქვს ისტორია, რომლის გადატანასაც სხვადასხვა ელემენტით ვცდილობ შემოქმედებაში, თუმცა მნახველს ვაძლევ საშუალებას, რომ თვითონ შექმნას ნამუშევრის მიხედვით ამბავი და სათქმელიც წაიკითხოს.

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მიყვარს ხელოვნება, საკუთარი თავი ვერ წარმომედგინა მუდმივად მხატვრის ამპლუაში. ვეძებდი პროფესიას ხელოვნების და მეცნიერების სინთეზით. მედიცინა ლათინური სიტყვაა და ითარგმნება როგორც „კეთილდღეობის ხელოვნება“. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა მომცა შესაძლებლობა, რომ ადამიანის მკურნალობა არა მხოლოდ მეცნიერული, არამედ ხელოვნების კუთხიდანაც დამენახა. მეცნიერებასთან ერთად ჩვენ ვსწავლობდით ხელოვნების ისტორიას, ლიტერატურას, მედიცინის ისტორიას და ა.შ. ემორის უნივერსიტეტში გამოცდილების მიღებამ კი უფრო განამტკიცა ჩემი იდეოლოგია. რამდენადაც ვიცი, საქართველოში ბევრი ხელოვანი ექიმი მოღვაწეობს. ჩემთვის დიდი პატივი იქნება, ვიყო ერთი მათგანი.

მუსიკის და ხელოვნების სიყვარულით

მარიამ ყიფშიძე, მედიცინის ფაკულტეტის მე-5 სემესტრის სტუდენტი:

ჩემს შემოქმედებაში ფერწერულ ნამუშევრებს სხვადასხვა ჟანრში შეხვდებით – ვხატავ პორტრეტებს, პეიზაჟებს, ყვავილებს; ვწერ ხატებს... გააჩნია მუზა რას „შემომთავაზებს“. შარშან გავაფორმე თეატრ „ჰიგიას“ სცენა და კოსტიუმები. ამჟამად კერამიკულ ნაწარმზე ვხატავ – ვარ „ანინას კუთხის“ მხატვარი. გამოფენის შემდეგ მივიღე უამრავი შემოთავაზება, თუმცა, დროის უქონლობის გამო, ყველას ვერ ვეხმაურები.

ეს გამოფენა ჩემთვის დებიუტია. გამოფენაზე წარდგენილი ჩემი ნახატებიდან ივან შიშკინის მიხედვით შექმნილ პეიზაჟს გამოვარჩევდი, რომელიც კარგად გადმოსცემს ჩემს ხასიათს და საკმაოდ დიდ ტილოზე შევასრულე(70/100). ძალიან მიყვარს „მუხა“ და „საკურას ყვავილები“, რომელიც შეკვეთით დავხატე. ჩემს შემოქმედებაში ჩემი სამყაროა ჩატეული. მიყვარს თვალებზე დაკვირვება და მათი რეალისტურად დახატვა. ჩემი საყვარელი მხატვარი, ამადეო მოდილიანი, ამბობს ერთგან: თვალებს მაშინ დავხატავ, როცა შენს სულში ჩავიხედავო. მართლაც, თვალებში ხომ ემოცია ყველაზე უკეთ იკითხება. ემოციის გადმოცემა კი ჩემი და, ალბათ, ბევრი მხატვრის, უმთავრესი მიზანია. მინდა მადლობა ვუთხრა ჩემს უნივერსიტეტს, სადაც, ჩარიცხვის პირველი დღეებიდანვე შენიშნეს ჩემი ნიჭი და მას შემდეგ აქტიურად ვარ ჩართული კულტურულ ღონისძიებებში. რაც შეეხება მედიცინას, ექიმობა ბავშვობიდან მინდოდა. რთულია მედიცინას სხვა რამ შეუთავსო, თუმცა, ჯერჯერობით, ვუთავსებ ხატვას, სიმღერას, დაკვრას, ცეკვას... ვიმედოვნებ, მომავალშიც ასე იქნება.

ანი გოგოჭური, მედიცინის ფაკულტეტის მე-2 სემესტრის სტუდენტი:

გამოფენაზე არასოდეს წარმიდგენია ჩემი ნამუშევრები, უფრო – ჩემთვის ვხატავ, ხშირად განტვირთვისთვის, ან, უბრალოდ, საკუთარი განცდების და ემოციის გამოსახატად, მხოლოდ მაშინ, როცა მუზა მესტუმრება, ეს კი ამ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო ხშირად ხდება და ხატვაც უფრო მეტ სიამოვნებას მანიჭებს. არ ვთვლი, რომ რომელიმე ჟანრის მიმდევარი ვარ, უბრალოდ, რასაც ვგრძნობ, ის გადამაქვს ფურცელზე და სხვაზე არ ვფიქრობ, მთავარი დატვირთვა კი ფერებზე მოდის – კონკრეტული ფერი კონკრეტულ განცდას და ემოციას უკავშირდება და გამოხატვის საუკეთესო საშუალებაა... როგორც მოგახსენეთ, ეს გამოფენა დებიუტია ჩემთვის და ერთგვარი სტიმული, მეტი ვიმუშაო. სასიამოვნო განცდაა, როცა ამდენი ადამიანი ეცნობა შენს შემოქმედებას და მოსწონს. დიდი მადლობა უნივერსიტეტს, რომ ეს შესაძლებლობა მომცა.

ელზა გველესიანი, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის მე-8 სემესტრის სტუდენტი:

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მოწყობილ გამოფენაში ჩემი 3 ნამუშევარი წარვადგინე - სამივე გრაფიკაშია და ასახავს მითიურ თემატიკაზე შექმნილ სკულპტურებს, რადგან მითოლოგია ჩემთვის საინტერესო სფეროა, ამ ჟანრში მუშაობა კი ყველაზე დიდ სიამოვნებას მანიჭებს. გრაფიკის საფუძვლები ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში შევისწავლე. მონაწილეობა მიმიღია სკოლის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიერ მოწყობილ გამოფენებში. გარდა გრაფიკისა, ვმუშაობ სხვადასხვა მიმართულებით: ფერწერა (ზეთი ტილოზე), აკვარელი, ნახშირით ხატვა, მოზაიკა... დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ნახატის შესრულების ხარისხს, გრაფიკის ძირითადი პრინციპების გამოყენებას. მხატვრობაში რენესანსი და ბაროკოა ჩემთვის ყველაზე საინტერესო პერიოდები, საყვარელი მხატვარი – კარავაჯო, გრაფიკაში კი ალფრედ კუბინის შემოქმედებას გამოვარჩევდი. მინდა სხვა ჟანრში დავიწყო მუშაობა და ახალი ნამუშევრები განსხვავებულ თემატიკას მივუძღვნა. მნახველთა დამოკიდებულება და შეხედულებები ჩემი შემოქმედების მიმართ განსხვავებულია, რაც საინტერესოა და, რა-საკვირველია, მახარებს, რომ გამოფენაზე ჩემმა ნახატებმა ასეთი გამოხმაურება და მოწონება დაიმსახურა.

მარიამ მირიანაშვილი, მედიცინის ფაკულტეტის მე-11 სემესტრის სტუდენტი:

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მოწყობილი გამოფენა ჩემთვის პირველი გამოფენაა, რომელზეც ჩემთვის განსაკუთრებით გამორჩეული 4 ნახატი წარვადგინე. რომელიმე კონკრეტულ ჟანრში არ ვმუშაობ – ვიყენებ მრავალფეროვან ტექნიკას. სწავლას და ხატვას ყოველთვის ნაყოფიერად ვუთავსებდი ერთმანეთს. ანატომია არასდროს მისწავლია ჩანახატების გარეშე. ეს პროფესიული კუთხით ძალიან დადებითად მადგება.

სასიამოვნო და საინტერესო იყო დამთვალიერებელთა დამოკიდებულება და დადებითი შეფასებები ჩემი შემოქმედებისადმი.

მინდა აღვნიშნო, რომ უნივერსიტეტი ჩემი სახლია, აქაურობის ნაწილად ვგრძნობ თავს – აქ ხომ ცოდნის მიღებასთან ერთად საუკეთესო გარემოა შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენისა და ხელშეწყობისთვის. ბუნებრივია, ხატვას გავაგრძელებ და იმედი მაქვს, ამ კუთხით უფრო მეტს შევიძენ, ვისწავლი და, თუ ხმამაღალ ნათქვამად არ ჩამეთვლება, მომავალში პერსონალურ გამოფენაზეც ვიფიქრებ...

ასეა, მიუხედავად იმისა, რომ კარგად აცნობიერებენ: – „რთულია მედიცინას რამე შეუთავსო“, არც ერთ მათგანს არ წარმოუდგენია საკუთარი მომავალი ხატვის გარეშე, რადგან მათ დამოკიდებულებას სიყვარული ასაზრდოებს – სრულყოფის წინაპირობა ნებისმიერ საქმიანობაში. ამიტომაც, დარწმუნებულნი ვართ, წინ ბევრი წარმატება ელით მედიცინასა თუ ხელოვნებაში.

ნატო ბოლქვაძე





საინტერესო დღეები

სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ყოველთვის დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენდა. მომავალ მედიკოსებს არაერთხელ უსახელებიათ თავი ქვეყნის მასშტაბით გამართულ უნივერსიადებსა თუ ტურნირებში. პანდემიისგან გამოწვეულმა შეზღუდვებმა კი, ახალგაზრდები, გარკვეულწილად, ჩამოაშორა აქტიურ სპორტულ ცხოვრებას, თუმცა, სათანადო რეკომენდაციების სრული დაცვით, პერიოდულად მაინც ხერხდება ხოლმე მათი სპორტული ღონისძიებებით დაინტერესება.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა (რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, კანცლერი, პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე, ვიცე-რექტორი, ასოცირებული პროფესორი ირაკლი კოხრეიძე) აქტიურად ზრუნავს სასპორტო ინფრასტრუქტურის განახლებასა და, ამავდროულად, – სტუდენტების ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისთვის. სწორედ, სამედიცინო უნივერსიტეტის მესვეურთა თანადგომით, ასევე, სპორტის ცენტრის უფროსის, ბატონ ზაურ ფხალაძის, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის, ანა კაკაბაძის, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, მიხეილ დიაკონიძის და საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის, თსსუ-ის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მწვრთნელის, ბატონ ვახტანგ ბაქანიძის, ინიციატივითა და მონაწილეობით, სათანადო რეგულაციების დაცვით, თსსუ-ში შიდასაუნივერსიტეტო ტრადიციული საგაზაფხულო სპორტული ღონისძიებები ჩატარდა, კერძოდ, სპორტისა და ჯანმრთელობის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა შეხვედრები, სადაც სტუდენტები ერთმანეთს ქუჩის ფეხბურთსა და კალათბურთში, სამაგიდო თამაშებში, მკლავჭიდში, კლდეზე ცოცვაში ეპაექრებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა მაქსიმალურად ცდილობს, სტუდენტებს დატვირთული სასწავლო პროცესი შეუმსუბუქოს, შესთავაზოს ინოვაციური, სახალისო და თავგადასავლებით სავსე დღეები.

შეჯიბრებებმა ახალგაზრდებს, მართლაც, რამდენიმე ლამაზი დღე უსახსოვრა, სპორტული ჟინი და აზარტი გაუღვიძა. იმედია, უნივერსიტეტის სპორტული ცხოვრება, ტრადიციისამებრ, კვლავ არაერთი საინტერესო ფურცლით შეივსება.

„სამედიცინო გაზეთის“ **რედაქცია** ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64
რედაქტორი **ლელა მუკბანიანი**
კორესპონდენტები: **მანანა ფხალაძე** ტ.:555 29 98 27 **დარეჯან კომლაძე** ტ.:558 17 08 47 **ნატო ბოლქვაძე** ტ.:555 28 28 97 ელ-ფოსტა newspaper@tsmu.edu